ფასი 25 კაპ. | თებერვლის 22 | 1925 წ. № 4

აპაპი

გარდაცვალებიდან 10 წ. შესრულების გამო

(საოპერო თეატრის გვერდით აღმართული ძეგლიდან)

ქანდაკება ი. ნიკოლაძისა
ნახატი ალ. ციმაკურიძისა

შინაარსი: მოწინავე—საბჭოთა არჩევნებისთვის; **ხომლელი**—აკაკი; **ვარ. ხუროძე**—აკაკი წერეთელი; **სერ. გერსამია**—აკაკის პორტრეტები; სერგო ივ. ევლახიშვილი; **ვარლამ რუხაძე**—პირველი მსხვერპლი, პოემა (დასასრული); **ოლიმპიადა**—რისთვის?; **ვ. ჯამ.**—მუშკოოპის დრამატიული წრე; **გერ. ბააზოვი**—გილიოტინა; **დ. გურჯანელი**—**დათუკიშვილი**—*** (ლექსი); **თამარ გოგოლაშვილი**—თამაშის კულტურა (წერილი გერმანეთიდან), ხელოვნება უცხოეთში; **ექიმი შტოკმანი**—იუბილეები; **იოსებ არიმათიელი**—საქართველო კინოში; **არტურ ლეისტი**—სომეხთა ჰუმორისტები; **ტფილისის თეატრები**; **დაბა-სოფელი.**

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს 15 წ. თავისთვის

გასულ წლის დეკემბრის შუა რიცხვებში „თეატრი და ცხ.“-ის მეგობრების ერთმა ჯგუფმა გაიხსენა, რომ ა. წ. 2 იანვარს ჟურნალს უსრულდებოდა 15 წ. არსებობის თავი. ჯგუფმა სრულის შეგნებით გაითვალისწინა, რომ 15 წ. მანძილზე ჟურნალს მეტად ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა, დიდის წვალებით და გაჭირვებით მოიტანა მან თვისი არსებობა დღევანდლამდის და სურვილი გამოსთქვა, ეს დღე შესაფერისად აღნიშნულიყო. საინიციატივო ჯგუფმა თავისი აზრი ჟურნალის თანამშრომლებისა და მეგობრების ფართე საზოგადოებაზე გადაიტანა. აღნიშნა მისი ღვაწლის მნიშვნელობა კულტურულ ფრონტზე როგორც ცენტრში, აგრეთვე პროვინციაში, განსაკუთრებით ქართულ თეატრის ცხოვრება-ში და ისიც, თუ რა ნივთიერ შევიწროებას განიცდის იგი დღეს. ჟურნალი თავის შინაარსით და აღებულის გეზით წარმატების გზას ადგია და საჭიროა მისი ნივთიერად მოღონიერება და მორალურად გამხნევება, რომ შემდეგშიაც დასახულ მიზნების განსახორციელებლად ფართე მშრომელი მასის ინტერესებს ემსახურებოდეს.

საინიციატივო ჯგუფის აზრმა უკვე ჰპოვა გამოძახილი: გადასწყდა, ჟურნალის არსებობის 15 წლის თავი ღირსეულად აღინიშნოს. ამ საქმის გარშემო ერთი თვეა რაც კრებები იმართება რედაქციის ბინაზე, რომლებსაც ესწრებიან საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლები და ყველა კულტურულ დარგების ცნობილი მოღვაწენი: მგოსნები, მწერლები, დრამატურგები, მსახიობები და ხელოვანნი.

თებერვლის 8-ს საერთო კრებაზე არჩეულ იქნა მთავარი კომიტეტი, თებერვლის 15 კრებაზე კომიტეტმა რამდენიმე ქვეკომისია გამოჰყო, რომელთაც დაავალა საზეიმო საღამოს გეგმის შემუშავება და სხ. წინასწარ მუშაობის წარმოება.

საიუბილეო საღამოს მოწყობა ტფილისში განზრახულია მარტში. ამ დღისათვის ჟურნალი გამოვა გაფართოვებულის სახით და შერჩეული მასალით.

პ/მ მდივანი **არ. ციხისთავი.**

მიიღება 1925 წლის ხელის მოწერა

სამხატვრო-სათეატრო-სახელოვნო სურათებიან ჟურნალ

„თეატრი და ცხოვრება“-ზე

1910 წ. **XV** წელიწადი გამოცემისა **XV** **1925 წ.**

„თეატრი და ცხოვრება“-ს წლიური ხელისმომწერნი მიიღებენ: ჟურნალის გარდა, ყოველ სამ თვეში ერთხელ **უფასო პრემიას**—წელიწადში **ოთხ წიგნს „ცხოვრების სარკე“-ს**, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება **სარეპერტუარო კლასიკური და თანამედროვე რჩეული პიესები.**

„თეატრი და ცხოვრება“ გაგზავნით, ოთხივე დამატებით, ეღირება წლიურად—**10 მან.**, **ხელის მოსაწერი** ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დროს—3 მ., აპრილის 1-ისთვის—2 მ., მკათათვის 1-ისთვის 2 მან., ოქტომბრის 1-ისთვის—3 მან., **ხელის მოწერა მიიღება** რედაქციაში: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 34.—რედაქცია ღიაა: დილით 9—3 ს., ნაშუადღევს 5—7 ს.

პასუხისმგებელი ხელმძღვანელი: სარედაქციო კოლეგია.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

პოლიგრაფტრესტის 2-რე სტამბა. ლენინის ქ., № 3.

მთავლიტ № 126 ტირაჟი 1500.

თეატრი და ცხოვრება

1910—1925
წელიწადი XV
№ 4
(361)
ფასი 25 კაპ.

„თეატრი და ცხოვრება“
ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი
რედაქციის მისამართი: რუსთველის პრ., № 34
„თეატრი და ცხოვრება“,
იოსებ იმედაშვილი

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ. | თებერვლის 22 | გამოცემა 1925 წ.

საბჭოთა არჩევნებისათვის

საქართველოს მშრომელნი უკვე მეორედ ირჩევენ საბჭოებს. უკვე ოთხი წელიწადი შესრულდა, რაც საქართველოს მუშებმა და გლეხებმა დაამყარეს თვისი ხელისუფლება.

განვლილ გზას რომ გადავხედოთ, დავრწმუნდებით, რომ ჩვენი საბჭოთა ორგანოები მუდამ მტკიცე დარაჯად იდგნენ ჩვენი მშრომელთა ინტერესების დასაცავად და თანდათან ალორძინებდენ და ამაგრებდენ ჩვენს ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობას და კულტურას.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგური.

მარტო ეს დიადი საქმე რომ ავიღოთ, იმით დავრწმუნდებით, თუ რა შეუძლიან მუშა-გლეხთა ხელისუფლებას. აღარ დავასახელებთ მრავალ სხვა საქმეს, რომლებიც მიმართულია ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის ასაღორძინებლად.

დიდი მიღწევნია კულტურულ ფრონტზეც. სკოლების რიცხვის ზრდა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მუშათა სკოლები, წიგნების და პერიოდულ ორგანოების გამოცემა....

საჭირო არ არის ყოველივეს ფართოდ აღნუსხვა. ყველა ჩვენგანი ნათლად ხედავს გაკეთებულ საქმეს. ყველა ჩვენგანი ნათლად რწმუნდება, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია განავითაროს ნამდვილი მშრომელთა ეროვნული კულტურა.

მაგრამ ის, რაც გაკეთდა, არ არის საკმაო.

ძველმა დრომ მეტად მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ეს არის ჩვენი სოფლის კულტურულად ჩამორჩენა. ამ საქმეში ჩვენ ვხედავთ რასაც აკეთებს ხელისუფლება, მაგრამ ამასთანავე ერთად ვხედავთ, რომ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ჩვენ მშრომელ გლეხ-კაცობას უნდა ვასწავლოთ წერა-კითხვა.

ამხ. ლენინმა სთქვა: **„წერა-კითხვის უცოდინარი პოლიტიკის გარეშეა“**. ჩვენმა გლეხმა უნდა შეისწავლოს წერა-კითხვა, რომ მით უფრო შეითვისოს საბჭოთა ხელისუფლება.

სოფელს უნდა მივაწოდოთ წიგნი, რომელსაც გლეხი ადვილად წაიკითხავს. სოფლათ უნდა გავაძლიეროთ სამკითხველოების და სახალხო სახლების მუშაობა.

კიდევ უფრო მეტი შრომის სკოლები.

მათი ყოველმხრივი ხელის შეწყობა.

საბჭოთა ხელისუფლების ყოველი ნაბიჯი მიმართულია მშრომელთა საკეთილდღეოთ და ყველა ის ადამიანი, რომელსაც უყვარს მშრომელი, საბჭოთა ხელისუფლებასთან უნდა იყოს.

ჩვენმა ახალმა საბჭომა უნდა გაითვალისწინოს ეს მუშაობა და ყოველივე ღონისძიებანი უნდა მიიღონ მისი წარმატებით გატარებისათვის.

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა აღმშენებლობაში კულტურული მუშაობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმეა.

მაშ, უსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენ ახალ საბჭოს!

აკაკი

1915 წელს, 8 თებერვალს, ღამის 1 საათზე, თავის საკუთარ სოფელს სხვიტორში (სჩხერეში) გარდაიცვალა აკაკი და საქართველოს ფირუზ ცას მოსწყდა ერთი დიდი შუქურვარსკვლავი.

ათი წელიწადია სწორეთ მას შემდეგ, რაც ქართველობამ მთაწმინდის სასაფლაოზე დიდის ამბით დამარხა ეროვნული დიადი ჭირისუფალი და მგოსანი, მეცხრამეტე საუკუნის რუსთველი — აკაკი.

საუკუნოთ დადუმდა ამ საოცარი მდიდარი ივერიელის „ხმატკბილი და საამური ჩონგურის სიმები“, რომლის კვნესა ქართლოსიანთა ერის ღრმა „მწარე მოთქმას“ გამოხატავდა, ჩონგური, რომლის ხმაზედაც მგოსნის სიმღერა დაჩაგრულის თვალებს მწარე ცრემლებს უშრობდა და მჩაგვრელს-კი გულში ძგერით ისარივით ესობოდა. მოკვდა მგოსანი, რომლის მადლიანმა კალამმა უკვდავ-

ჰყო ქართული ენის სიმდიდრე—მშვენიერება, ქართული ლიტერატურის საგანძურში შეიტანა მდიდარი მარგალიტები, მოსიყვარულე, მგზნებარე გულის კეთილშობილი ზრახვანი და მაღალი გრძნობა-გონების ღრმა ნაფიქრი და ნააზრი.

აკაკის ლირიკისა, საზოგადოთ, ლიტერატურული ღვაწლის სიდიადე და მნიშვნელობა პირდაპირ ფასდაუდებელია.

აკაკი იყო მთელი თვისი დიადი არსებით და სულიერ მდგომარეობით ნამდვილი, ჩვენებურათ რომ ვთქვათ, თმაგაშლილი საქართველოს ჭირისუფალი და სალოსი, რადგან საქართველოს ტრფობის გულისთვის უარჰყო სიამენი სოფლისანი. მუდამ და ყოველგან ამ საქვეყნო დიდი აზრით იყო გამსჭვალული და მარტო იმას ფიქრობდა, თუ რა მოელის მომავალში მის დაობლებულ მამულს.

აკაკის ჩანგურის სევდიან კვნესას საზღვარი არ უჩნდა. ამ მხრივ ის გაუთანასწორდა მსოფლიო გოდების დიდ პოეტებს. ეს მოტივი ერთი უდიდესი და უმთავრესი მოტივი იყო მთელი მისი სულიერი მდგომარეობისა. კერძოთ მისი არსებითი ინტერესებიც-კი მივიწყებული ჰქონდა მას, ცოლი და შვილიც, თუ შეახსენებდენ თავს, თორემ ისინიც მივიწყებული იყვნენ მისგან.

თვისი სულიერი მიდრეკილება და საზოგადოებრივი დანიშნულება მგოსანს გამოხატული აქვს **„თამარ ცბიერში“**. თამარ ცბიერი ამ წუთისოფლის სიამეთა სრული გამოხატულებაა, მგოსანი გოჩა-კი მამულიშვილის თავგანწირულობისა. გოჩა უარყოფს უმშვენიერეს თამარის სიყვარულს, რადგან თამარის სახელთან ერთად მას ეხატება

„მომაკვდავთ კვნესა,
ქვრივ-ობლის წყევა,
ქვეყნის ღაღადი,
ერთა ვედრება,—*)
და ეკლის გვირგვინს არჩევს!

აკაკის ლექსში—„აღმართ-აღმართ“ ჰენიოსის ტალანტით არის გამოხატული ადამიანის სულიერი განვითარების, შეგნების საფეხურები. ამგვარი განვითარება ადამიანს ჯერ ზრდის, აქეზებს, ამხნევებს, აღაფრთოვანებს, შემდეგ, განვითარების მწვერვალზე, საიდანაც კაცი ნათლად ხედავს ყველაფერს, ავსა და კარგს, სიკეთესა და ბოროტებას, სწორსა და მრუდე გზას, მას აკლდება სულიერი წონასწორობა და სასოწარკვეთილებას ეძლევა ხშირად. მარა იმ დროსაც-კი, როდესაც მგოსნის სულიერი წონასწორობა შერყეულია და მისი გული საუკუნოთ იკოდება, მას მაინც კიდევ თვისი სათაყვანებელი სატრფო ახსოვს, თვისი ღვთაება—მამული-ქვეყანა. და ეს ის საოცარი ჟინია, ის გაუნელებელი ცეცხლია, ის დაუშრეტელი გულისთქმაა, რომელიც თანა სდევს თითოეულ დიდბუნებოვან ადამიანს, ანიჭებს მას ბოროტებასთან ბრძოლის ენერგიას და იფარავს სასოწარკვეთილების განმანადგურებელი, დამაძაბუნებელი გავლენისაგან.

ლექსში—„საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე დაკარგულიყო,“ რომელიც წარმოადგენს თვისი ჰარმონიული წარმტაცი ხმატკბილობითა და უნაზესი სევდის მომგვრელი კილოთი შეუდარებელს საგალობელს, იგივე აკაკის დიდი სატრფოა ნაგულისხმევი.

„თავს ვადგივარ მისი ჭირისუფალი და გულსა მწვავს მწუხარების მე ალიო,“ ამბობს მგოსანი ერთ თავის მშვენიერ ლექსში. მაგრამ, იმავე დროს, გულს არ იტეხს და აღარ ახსოვს თავისი დიდი მწუხარება და სატკივარი, როცა სატრფო ცოცხალ-მკვდარი ეგულება.

და აკაკის უკვდავი ლირიკის ერთი დიდი ღირსებათაგანი ის არის, რომ გულში გაუქრობელ იმედს გვიღვიძებს და სამოქმედოთ გვაქეზებს.

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს,“ ამბობს ჩვენი მგოსანი თავის სატრფოზე. და ეს დიდათ გამამხნევებელი იმედი სასიცოცხლო, სამხიარულო, სასიმღერო, აღმაფრთოვანებელ კილოს ანიჭებს მის უტურფეს, ნაზსა და მდიდარს საგალობელ ლექსებს, რომელთა ნაკადულისებურ მჩქეფარე სრბოლა სიცოცხლის ენერგიას გამოხატავს.

ამგვარად, აკაკის ლირიკა არის ცოცხალი, ფხიზელი, ენერგიული, მოქმედებითი, სიცოცხლის შემაყვარებელი, იმედის გამაღვიძებელი და ბრძოლისადმი წამაქეზებელი.

ეს დედა-აზრი უდევს სარჩულათ მის პოემებსაც: ბაგრატ დიდს, თორნიკე ერისთავს და სხვ., აგრეთვე დრამატიულ ნაწარმოებს „პატარა კახ“-სა და ბევრ სხვა მის მოთხრობას.

ხომლელი.

აკაკი წერეთელი

რამდენი სიყვარული და თბილი გრძნობაა ამ ორ სიტყვაში ჩამარხული!.. რამდენ სიამოვნებას და რამდენ აზრს იწვევს ყოველი ქართველის გულში!..

აკაკიზე საყვარელი პიროვნება მეორე არ ახსოვს ახალ საქართველოს: ყველა ტკბებოდა მისი ქნარის ჟღერით, ყველას ხიბლავდა იგი.

მდიდარი და ღარიბი, ბედნიერი და უბედური—ყველა სასოებით შეჰყურებდა მას, ყველას ალტაცებას გვრიდა მისი მოსმენა.

აკაკი წერეთელი!..

ამ ორ უბრალო სიტყვაში მთელი ეპოქაა ჩამარხული, ეპოქა განახლებისა და აღორძინების, აყვავებისა და ამეტყველების.

ეპოქა ფეხზე დადგომისა და დაკეცილი დროშის გაშლის...

მთელი ნახევარი საუკუნე, ვით ჰელადის ჰომეროსი, დადიოდა კიდით-კიდე იგი და მომხიბლავის ქნარის სიმებზე ჯადოსნურად ღაღადებდა, იმღეროდა და სხვებსაც ამღერებდა, გალობდა და სხვებსაც აგალობებდა...

აკაკიზე უფრო მძლავრად არავის შეეძლო მსმენელთა დატყვევება, ხელოვნების უდიდესი მიმზიდველობითი ძალა აკაკიმ გვაგრძნობინა.

„აღარა აქვს ბოლო ამ ჩემ სატანჯველს“,

*) რუსეთის კრიტიკოსმა, თვით აკაკის ნაამხანაგარმა უნივერსიტეტში, სკაბიჩევსკიმ კრიტიკულათ გაარჩია აკაკის ეს საუცხოვო ნაწარმოები, მაგრამ ნაწარმოებს აზრი ვერ გაუგო და პირუკულმა გარჩევა გამოუვიდა. ავტ.

კვნესოდა იგი და მასთან ერთად ჩვენც გვაკვნესებდა.

„...მით ჯოჯოხეთს მარად გულით ვატარებ“,

ასე იწოდა იგი და ჩვენც მასთან ერთად ვიდაგებოდით.

,,არა, აყვავდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჭალარა!“

დაიკვნესებდა აკაკი და ჩვენც მასთან ერთად იმედი და სასოება გვეუფლებოდა, მყისვე ზურგს ვაქცევდით წყეულ აწმყოს და ღიმილათამაშებულნი გავკიოდით:

,,ამ დღეს ველოდი, მოვესწარ,
ვიცინი, აღარ ვსტირი მე...
ახალგაზრდებო, გამოდით,
გამოდით თქვენი ჭირიმე“...

აკვნესდა აკაკის ქნარი და ჩვენ თავდავიწყებით გადავეშვით პირველი რევოლიუციის ტალღებში; ჩვენც გამოვედით ჩვენი ჰომეროსის მოწოდებაზე, არ შეგვეძლო ასე არ გვექნა...

იმიტომ რომ... აკაკმ შეამკო ,,ქართველ გმირთა მხარ-მკლავები‘ შეგვაყვარა თორნიკე, პატარა კახი...

იმიტომ, რომ აკაკი იმღეროდა

,,რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს“...

ასე გვიმღერდა აკაკი და ჩვენ შეგვეძლო ამ სიმღერისთვის არ დაგვეჯერებია?

ამ სიტყვების შემდეგ განა შეეძლო ქართველ კაცს მჩაგვრელს არ ძგერებოდა? მაშინ ის ქართველი არ იქნებოდა, მაშინ მას აკაკი არ ეყვარებოდა.:.

და იყო ვინმე ისეთი, რომელსაც აკაკი არ ყვარებოდა?

ეს იქნებოდა თავისივე თავის არ ყვარება, საკუთარი წმანდაგრძნობის შებღალვა, აზრთა აღმაფრენის ძირს დანარცხება...

,,გავლესოთ, ძმებო, ნამგალი,
პური შეგვექნა სამკალი“

ამბობდა აკაკი და ჩვენი მუშებიც აღტაცებით ტაშს უკრაავდენ მას.

,,ვისაც რა უნდა უყვარდეს,
სულ სხვაა ჩემი ტრფიალი:
მიყვარს პირწმინდა ნამგალი,
მისი ყანაში ტრიალი“.

გალობდენ აკაკისთან ერთად ხელებდაკოჟრილი გლეხები... იქვე იღებოდა ,,მეწალკოტე ტარიელიც“, რომელიც ჩვენი ცხოვრების განსაახლებლად ემზადებოდა...

* * *

აკაკის დრო უდიდესი მნიშვნელობის დრო იყო ქართველი ერის ისტორიაში: ძველისძველ ერს ან სამუდამოდ უნდა მიესვენებია აზიური კულტურის წიაღში, ანდა ევროპიული ცხოვრების ათვისების ნიჭი გამოეჩინა, მეტი გზა არ იყო: ან სიკვდილი, ან სიცოცხლე...

თვითმპყრობელმა ორთავიანმა არწივმა მრავალი ტკივილი აგრძნობინა მას, მაგრამ თავის კლანჭებში მოფართხალე არსებას გამოღვიძების საშუალებაც მისცა: ახადა ძველი ეკონომიური ბორკილები—მოუსპო ფეოდალიზმი—და დროის შესაფერ ნივთიერ ნიადაგზე გადაიყვანა იგი; თუმც ტლანქად და მოუხეშავად, თუმც ისტორიულ კანონთა უკუღმა შებრუნებით, მაგრამ ფეოდალიზმით დაქსაქსული ნაციონალური სხეული მაინც გაუმთლიანა მას: საქართველოს ორივე ნაწილი ლურსმებიანი ჩექმითა და მოზუზუნე ნაგაიკით გააერთიანა. საქართველოს დაუდგა საშინელი გამოცდის ხანა, მაგრამ სახელოვნად გამოვიდა იგი ამ განსაცდელისაგან: მრავალხანოვანმა კულტურამ თავი გაიტანა.

მთელი ნახევარი საუკუნე ქართველი ჩაფიქრებით შეჰყურებდა—ყოფნა-არყოფნის საკითხს, 1801 წლიდან დიდხანს უდგა იგი გზაჯვარედინზე... და ბოლოს აუჩქარებლივ გაჰყვა ახალ ნაკადულების ჩქეფას: ხელახლა წაირწო სიცოცხლის აკვანი, ამუშავდა აზრი, ამეტყველდა ენა...

ამ ეროვნული აკვნის ერთი წამრწევთაგანი აკაკი წერეთელიც იყო.

მის არსებაში მრავალ მხრივწინააღმდეგობას მოეყარა თავი, მისი სული და გული მრავალ მოწინააღმდეგე აზრებსა და გრძნობებ შუა იყო მოქცეული.

მდგომარეობით და აღზრდით არისტოკრატი, დატვირთული ძველის ტრადიციებით და ფეოდალურის მირაჟებით. დრო კი შედარებით დემოკრატიული. აკაკი იძულებულია დაესწროს საკუთარი—მშობელი კლასის დასამარებას, უნდა დაიტიროს იგი, უნდა დაასაფლაოს, როგორც ჭირისუფალმა...

მაგრამ, ვაი, თუ სამარადისო გლოვამ შეიპყრას იგი და დაუსრულებლივ იტიროს ,,ბაბილონის მდინარეთა ზედა“, ზურგი აქციოს სამარის თავთან გაშლილ ახალ ყლორტებს.

აკაკი ამ განსაცდელისგან დაიხსნა მისმა მხატვრულმა გენიალობამ და იმ მუდამ თავშეუკავებლივ მჩქეფმა გრძნობამ, რომელსაც ეწოდება სიცოცხლის წყურვილი, განახლებისკენ ლტოლვა.

ის დიდხანს ჰგოდებდა ძველ სასაფლაოზე, სიკვდილის უკანასკნელ წლებშიაც არ დავიწყებია ეს გრძნობა მას, აქ დაანთხია მან, ,,მდუღარებანი გულისა“, მაგრამ მხატვრულმა ალღომ მაინც თავისი გაიტანა და აკაკის მძლავრმა ნიჭმა მაინც ახალი ცხოვრებისაკენ გამოსაცურავი ნავი იპოვა.

,,ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო!“

მიაძახა ძველ, დრომოჭმულ საქართველოს და მძლავრად გამოექანა ახალ სამშობლოსაკენ. იქ, ძველ მირაჟებში, აკაკი იღრჩობდა და სულის მოთქმა უჭირდა, ილუპებოდა და იხრწნებოდა მისი ნიჭი...

ამიტომაც ეკვეთა იგი ახალ ნაპირებს.

მისი შემოქმედების მრავალფეროვან წახნაგებში მთელი ჩვენი ცხოვრებაა ასახული ხელოვნურად, წარმტაცად და მომჯადოებლად.

სწორედ ამიტომ არის ყველა ქართველისათვის საყვარელი აკაკი წერეთელი, რომელიც ემბლემაა ყოველივე ლამაზის, მომხიბლავის, ამამაღლებელისა და გამამხნევებლის.

მან ამირანულის თავდადებით ჩამოიტანა ციდან ხელოვნების ცეცხლი და თავისი მომხიბლავის და უბრალო ჯადოსნური სიტყვით განუყრელად შეეთვისა ჩვენს სულსა და გულს...

აკვნის პირველ წარწევიდანვე გვესმოდა დედის ბაგეთაგან მისი ნანინა, სიჭაბუკეშიც მასთან ერთად ავდიოდით ,,აღმართ აღმართ“, მასთან ერთად გვინატრია სამარე და ლოდები, გვიმღერია:

,,შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო“!

. სიყვარულით გვიტრიალებია მისი ,,ხანჯალი“, მტრის გულის გასაპობად რომ გაელესა და...

ამიტომ ვეთაყვანებით მას, ამიტომ ვერ ვივიწყებთ მას...

ვარლამ ხუროძე

აკაკის პორტრეტები

კარგი იყო აკაკი ქუჩაში, იგი აქ ბევრჯელ მინახავს... მაღალი, ბეჭებში ცოტათი მოხრილი, კისერი მოღერილი ისეთნაირათ, რომ მისი თეთრი თმით დაფარულ თავსა და სახეს არწივისებური გამომეტყველება ჰქონდა, კოპი თითქოს შეკრული, მაგრამ თვალები ბრწყინვალე, დინჯი, ჭკვიანი გამომეტყველი, აუჩქარებელი მოსიარულე, და მუდამ მომღიმარი...

პირზე ღიმი მისი სახის მეტყველების ერთი უმთავრესი თვისებათაგანი იყო და ეს ღიმი რაღაც თავისებური, მხოლოდ ღა აკაკისებური იყო: მასში თქვენ წაიკითხავდით სიამოვნებას, ჭმუნვას, სიხარულს, მწუხარებას, დაღლილობას, მოსვენებას და კიდევ ბევრს რამეს. მისი სიტყვები: „ვინ რა იცის, რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა", ვგონებ ამ ღიმის წიაღიდან უნდა იყოს გადმოტყორცნილი.

ყოველი გამვლელი, თუნდაც ისეთი, რომელსაც აკაკი არასდროს არ ენახა, უნებლიეთ შეაშტერებდა თვალს და უნებლიეთვე ამ მოხუცის სიდიადეს იგრძნობდა. მოშორდებოდა და იკითხავდა:

— ვინ არის ეგ მოხუცი. სადღაც მინახავს!!.

— აკაკი, განა მისი სურათი მაინც არ გინახავთ?

— ჰოო—როგორ არა, აკი მიკვირდა.—მორცხვათ ჩაილაპარაკებდა და დამნაშავესავით გაიპარებოდა...

დიაღ, ასეთი შემთხვევა ძლიერ ხშირი იყო.

მართლაც აკაკის არ ცოდნა, მეტსაც ვიტყვი, არ ცნობა ქართველი კაცისთვის დიდ დანაშაულათ ითვლებოდა, მას ყველა იცნობდა, ყველა პოებდა მასში თავის გულის პასუხს და ამიტომაც დაერქვა მას—**ხალხის გულის მესაიდუმლე.**

* * *

თვალწარმტაცი და ანდამატივით მიმზიდველი იყო აკაკი მოუბარი...

ასეთი სურათი მახსოვს: იგი ერთხელ ქუთაისში ლექციას კითხულობდა თავის საყვარელ თემაზე: „ხალხური სიტყვიერება და მისი მნიშვნელობა". დარბაზი გაჭედილი იყო, ყველა მოუთმენლად ელოდა ფარდის ახდას... აიხადა კიდეც, მაგრამ ორგინალური იყო სცენა: ლამაზი ოთახი, ხალიჩა გაფენილი, საწერი მაგიდა, ერთი სკამიც, სცენა სიბნელით იყო მოცული, ამ სიბნელეს მხოლოდ მაგიდაზე მდგარ ორი დიდი შანდლიდან მოლაპლაპე სანთლის ცეცხლის ენები არღვევდა და სცენას რაღაცა მისტიური სახე მისცემოდა. გამოვიდა აკაკიც, დადგა მაგიდასთან შანდლებს შუა, სანთლის შუქმა მისი სახე ჯაბარწყინა, ჩამოაქანდაკა, მკაფიო გახადა და თითქოს შარავანდედით შემოსა... დარბაზში ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებდით, მუდამ მღელვარე და შფოთი ქანდარაც კი სამარისებურათ სდუმდა... ასე ძლიერი იყო აკაკის ჰიპნოზი.

დაიწყო ლაპარაკი: ნაზი ხმა... დინჯი... მკაფიო... ზომიერი აწევ-დაწევა. აკაკის ჩვეულებრივი კოხტა ჟესტები. მომხიბლავი ღიმი და შიგადაშიგ აკაკისებური მოქნილი, ნაღვლიანი ნაკვესები...

ის მაშინ უდაბნოში ლტოლვილ მესსიას ჰგავდა, რომელსაც შეეკრიბა მოწაფეები და ჰეშმარიტებაზე ესაუბრებოდა.

და აკაკიმ ყველა დაიმონა... სულგანაბული უსმენდენ... აჰა, რაღაც ლექსი უნდა მოიყვანოს, დაიწყო კიდეც, განაგრძო, მაგრამ უცებ შეჩერდა... შუბლზე ხელი მიიდო... თავიდან დაიწყო და კვლავ შედგა... ყველას გულები ამოძრავდენ, უხერხულობა და ნერვიულობა დაეტყოთ.

— უკაცრავათ, ჩემი ბრალი არ არის, მოხუცებულობამ გულ-მავიწყობა იცის.- ჩაილაპარაკა დიდებულმა მოხუცმა, თავზე ხელი გადისვა და გაიცინა....

„ვინ არ იცის, რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა", გაუელა ყველას აზრმა, ყველა გამოფხიზლდა, შეიქნა ტაშის გრიალი: „ეაშა აკაკი, ეაშა", ყვიროდა, ქანდარა. .. „დაბრძანდით, თქვენ დაიღალეთ",—ისმოდა დარბაზიდან.

— გმადლობთ თავაზიანობისთვის, ცოტა დამრჩა სათქმელი.—გაისმა პასუხი... კვლავ სამარისებური სიჩუმე... კვლავ აკაკის მომხიბლავი საუბარი ..

ეს სურათი ჩემსა და ალბად იმათ გონებაშიც ვინც მაშინ ქუთაისის თეატრში იყო, წარუშლელი იქნება...

ყველგან თვალწარმტაცი იყო აკაკი მოუბარი და მე კი მკრთალი სურათი ძლივსღა დავხატე....

* * *

ძლიერ მიმზიდველი იყო აკაკი სუფრაზე: იგი პირველად თუ არ ვცდები 1913 წლ. ვნახე, როდესაც ქვემო იმერეთში მოგზაურობდა, სახელდობრ ს. მუხიანში... გიმართა საზეიმო ნადიმი, აკაკი მბრძანებელი სუფრისა საპატიო ადგილზე იჯდა, მას გარს თანამოკალმენი უსხდენ...

თვალს ვერ ვაშორებდით, ყოველი მისი შეხედვა ყველას სასოებას გვრიდა: მხიარული, ოხუნჯი, მოკლე და შინაარსიანი სიტყვების მთქმელი სხვა და სხვა საკერბოროტო საკითხებზე, რომელსაც თამადა შეეხო, ზოგიერთ შემთხვევაში მაცდური გადალპარაკება, გადახედვა ახალგაზრდა ქალებისაკენ და აკაკის ჩვეულებრივათ ყველა ჩაიპირა, ყველას ყურადღების ცენტრი შეიქნა... აჰა, გაათავა აკაკიმ სიტყვა, იგრიალა ტაშმა. აკაკიმ მადლობა გადაიხადა და ჩანგალს მოკიდა ხელი.

— ბატონო აკაკი! მიირთვით, რა არის სულ არაფერსა სჭამთ! ისარგებლა შემთხვევით ერთმა ქალმა, გამოეხუმრა მას და სანოვაგით სავსე ხონჩა მიაწოდა...

— გმადლობთ, დიდათ გმადლობთ, მე ჩვენი ხალხის ამდენი პატივისცემით და გულის სითბოთი გავძეხი, დავთვერი კიდეც.- გაისმა აკაკის პასუხი, ცრემლი მოერია, თვალები ქალს ჩაკვეესა, რომელიც კრძალვით შესჩერებოდა დიდებულ მოხუცს.... მაგრამ ყველაფერი ეგ კინოსებური სისწრაფით, შემდეგ ცოტათი შეჩერდა და ისევ ჩვეულებრივი მომღიმარი აკაკი კვლავ ჩაერია სუფრის მონაწილეთა ფერხულში....

დიახ, ყველგან და ყოველთვის ასეთი მომხიბლავი იყო დიდი მგოსანი. მას აუარებელი პატივიმცემლები ჰყავდა, ყველა იცნობდა, მისი შეხვედრა ყველგან გამარჯვებულ რომაელ სარდალთა ტრიუმფს ჰგავდა და მან ეს ყველაფერი სრულიად კანონიერათ დაიმსახურა.

სერ. გერსამია.

სერგო ივანეს ძე ევლახიშვილი

(25 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილეს გადახდის გამო)

ოპერის მსახიობი—ბარიტონი. დაიბ. 1873 წ. ტფილისში, სწავლ. პირველ გიმნაზიაში: მუსიკ. განათლება მოსკოვის კონსერვატორიაში, კურსი დაასრულა იტალიის ქ. მილანში. პირველად სცენაზე გამოვიდა 1897 იტალიის პროვინციის ქალაქებში. მღეროდა ფაუსტს, ტრუბადურს, ერნანს, ფოვორიტკას და სხ. საარტისტო კარიერა დაიწყო 1899 წლიდან ქ. პერმში. მღეროდა ბარიტონის ყველა საპასუხისმგებლო პარტიებს, გადავიდა ყაზანს (ბოროდაიას ანტრეპრიზა), ასტრახანს, ადესას, ხარკოვს, პეტერბურგს, ქვემო-ნოვგოროდს, ჟიტომირს, ეკატერინოსლავს, პალტავას, შემდეგ ციმბირის ყველა დიდ ქალაქში ირკუტსკამდე; მღერ. ბაქოში და მოსკოვში ერთი სეზონი იმღერა სოლოდოვნიკოვის კერძო თეატრში, ორი—სახალხო სახლში.

ტფილისში მღეროდა 6 სეზონის განმავლობაში: სამი სეზონი — ფიგნერ - დონელ - ეიხენვალდთან, სამი ივ. ფალიაშვილთან. 1913 წ. მეთაურობდა საოპერო მოგზაურობას კავკასიაში და კერძოთ საქართველოში; 1913—1918 წ. ხელმძღვანელობდა ტფ. სახელმწიფო ოპერას ამ დროს პირველად დაიდგა სცენაზე ქართული ორიგინალური ოპერები: დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთველზე", ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", და ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე" იმავამად შემდგარ ოპერას მსახიობთა და მოსამსახურეთა პირველ კოლექტივის მიერ ერთხმად იქნა არჩეული მთავად.

1919 წ. მთავრობის მიერ დაინიშნა საოპერო დასის დირექტორად. 1921 წ. თებერვლის 26-ს თეატრის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ არჩეული იქნა ოპ.თეატრ. გამგედ და ხელმძღვანელად, რის შემდეგაც განათლების კომისარიატმა დამტკიცა ოპერის პასუხისმგებელ წინამძღოლად.

1922 წ. აპრილის 1-ს დასისმიერ არჩეულ იქნა საოპერო მსახიობთა კოლექტივის მთავად.

1923 წ. ზამთრის სეზონში ტფ. საოპერო დასის უფროსად, ამავე წლის ივლისში დაინიშნა ოპერის თეატრის გამგედ.

1924 წ. დაინიშნა ოპერის და თეატრის გამგედ.

1900 წლიდან ირიცხებოდა რუსული სათეატრო საზოგადოების ნამდვილ წევრად მოსკოვში, 1917 წლიდან ტფ. სცენის მუშაკთა და მოღვაწეთა პროფესიონალურ კავშირის წევრად; 1921 წ.—ან საქართველოს „რაბის"-ის წევრად.

პირველი მსხვერპლი

(დასასრული იხ. „თ. და ც." № 3)

VII

ღილა. გრგვინავენ ნავთის ქარხნები,
ცეკვენ ღვედები და მანქანები,
და ელეკტრონი, ნაჩირაღდნები,
აწვლებს ხერხებს მძლე გაქანებით;
და ქუჩებიდან მოწითლო ალებს
გამოუყვიათ გრძელი ენები,
ჭკოცნიან ჰაერს და მუშის თვალებს...
მიდი-მოდიან თუნუქთ ფენები;
არის ხმაური, აურზაური,
ორთქლი და კომლი, ბუღი და მტვერი,
შრომა უწყვეტი და უცნაური...
დაპიმულ კუნთებს ჰბანს ოფლის ჩქერი.
უკვე შესრულდა ათი საათი
და უცებ... ქარხნებს ხმა გაეკმიდათ
და გამოვიდენ გარედ ტაატით
ყველა მუშები, მწყობრად და მშვიდათ.
და გაიშალა დროშა წითელი,
ნაქარგი, როგორც ჩოხა სანეფო:
„ძირს კაპიტალი—შხამის მტვირთველი!
დიდება შრომას და მის სამეფოს!"
და გამოსწიეს ქუჩისკენ ნელა:
მოდიან მწყობრად, ვით ხაზნი ზოლის,
და, შემთხვევისთვის შემდგარი ხელად,
გუგუნებს გუნდი და ჰიმნი ბრძოლის:
„შრომის შვილებს ვერ გვაქანებს
ჯოჯოხეთის მეხი,

დავსტრიალებთ თავს მანქანებს,
მკვიდრად გვიდგას ფეხი,
შემოქმედი ჩვენი ხელი
ციბრუტივით ბრუნავს,
მაგრამ ოქრო—გულის მხვრელი
სხვის ჯიბეში სცურავს!
რატომ არის დახლართული
დღეს ცხოვრება ესე:
ხარობს, სტკბება ყველა თული,
ჩვენ ბედი შხამს გვასმევს!
ძველი ქვეყნის განათება
ჩვენს გულს როგორ მოხვდეს?
მას არა აქვს გამართლება
და ის უნდა მოჰკვდეს!
ახალ ქვეყნის ახალ ტაძარს
ჩვენ თვით გავაშენებთ,
ზედ მოვაყრით ძმობის შაქარს,
შრომით დავამშვენებთ!“

და, როგორც ზვირთი აგორებული,
მოიწევს ნელა მუშათა ტალღა.
წინ უძღვის პეტრე გალომებული
და მის თვალებში მზე ბრწყინავს ლაღად.
და უცებ, ჰოი, საშინელებავ!
აენთნენ ცეცხლით თოფის ლულები
და ასისინდენ წითელ გველებად
ტყვიები—კუბოს მოციქულები.
დაეცა ერთი, დაეცა ორი...
ქუჩა და ველი სისხლმა შეღება
და აირიენ ერთმანეთს შორის:
კვნესა, მუქარა, მათრახთ შეხება.
ბევრი დაიჭრა და ბევრი მოჰკვდა,
ბევრიც შეიპყრეს, ბრძოლით დაღლილი...
და ჩვენი გმირიც ციხეში მოჰხვდა
და იჯდა წლობით, ბორკილ-გაყრილი.

IX

მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავთა კრება
ისე ციმციმებს, ისე ანთია,
თითქო კოცონის და ქარის ვნება
ერთიმეორეს გადახლართვია;
და ვარსკვლავთ შორის გავსილი მთვარე
ისე დაცურავს, მზისგან ნახური,
და ესვრის სხივებს—ამ ვერცხლის სარკეს,
როგორც ქვევრიდან შხეფებს კახური;
და მთვარის შუქზე ზღვა, პირნასარკი,
ისე ლაპლაპებს, ისე ელვარებს,
ვით ცეცხლი პირველ ფეთქვის ასაკში,
ალით რომ წვდება მაღალ მწვერვალებს;
და ზღვის ნაპირას, მარტო და ობრად,
სდგას ციხე ისე ჩაბნელებული,
როგორც შვილმკვდარი იმერლის ჩოხა,
ძაძა-ფლასებით დაკერებული;
და მის კედელზე ფანქარით შავით
ვიღაც პატიმარს, როგორც ბარათი,
გესლით ალსავსე და დამცინავი,
წაუწერია ლექსი მარადი:
„აღსდგა ბაღლინჯო—ტილთა ლაშქარი,
ომი აშკარი გამოოგვიცხადა,
არ დაგვიცადა, რომ ჩვენც აბჯარი
აგვეღო, მკლავი გამოგვეცადა;
მოულოდნელად დაგვეცა თავზე,
ვარი სთქვა ზაგზე და გვკრა ლახვარი,
სისხლი ნაღვარი, უმეტეს ზღვაზე,
ჩქეფს და გვიკვდება გულში ზრახვანი;
სხვა პატივცემაც აქ არ გვაკლია:
განა ნაკლია ეგდო ნაგავში,
გშლიდეს განგაში, და პურს მატლიანს
სჭამდე, ჩაბუეულს რისღაც ნახარშში;
მარად დახშული გქონდეს კარები,
ცივი ქარები ფანჯრით გივლიდეს,
ვიღაც კივლიდეს ჟღალი თვალები
მუდამ გიცქერდეს, მუდამ გითვლიდეს?!“

X

აქ, ამ ციხეში, ბორკილ-გაყრილი,
ზის ჩვენი გმირი მრავალი წელი.
ესაუბრება, შავ ფრთებ-დახრილი,
მარტოობა და კოშმარი მწველი.
იმ დღიდან, როცა აქ ჩასვეს იგი,
და ამ ბნელ სახლის შეიქმნა წევრი,
სხვა და სხვა სასჯელს უცვლიდნენ რიგით...
ბევრჯერ მოჰბრუნდა მის თავზე კევრი:
შანთით დადაღეს, წკეპელი დაჰკრეს
თავზე მუხრუჭი შემოუჭირეს,
სიბინძურეშიც მრავალჯერ კაჰკლეს,
და მათრახები გადაუჭირეს. .
ოქროც აძლიეს ბევრჯერ უთვლელი,
რომ თვის მხარეზე გადაეყვანათ,
მაგრამ ბოლომდე დარჩა უცვლელი:
არ დაივაწყა შრომის ქვეყანა!
დღემდე ვერ ტეხდა ტანჯვა, საკანი,
დღემდე არ იყო სულით მოღლილი,
თვალის წინ ედგა ორი საგანი:
ცირა და მუშა, წელში მოხრილი.
მათდამი ტრფობით მუდამ გულსავსე,
ფიქრობდა ასე, მღეროდა ასე:

„ორი ტყვეა: მუშა, ქალი,
გარს არტყიათ რკინის რკალი,
და ვისაც სურს ქვეყნის შველა,
დე შემოკრბენ მათ გარს ყველა!
დავკრათ ურო ამ ბორკილებს,
ტანჯვასთან რომ გვაბორკილებს!
დეე მოჰხვდეს ტალსა კვეში,
და დაიწვეს ძველი წესი,
ახალ ქვეყნის ცეცხლის თვალში
ათამაშდეს ჩვენი რაში!“

XI

დღეს კი?.. ახ, დღეს კი საშინელება
თავზე დაატყდა ორკეცის ძალით,
შემოესია ცეცხლის გველებად
და სამუდამოდ დაფერფლა ალით!
მიიღო უცებ ბარათი ცირას,
სადაც სტიროდა დამწვარი სული:
„ძვირფასო პეტრე! დაიმსხვრა წკირა
სამარადისოდ დაჭრილი გულის!

შენზე მტირალი და მეოცნებე,
ფულზე გამყიდა მამამ უგულმ;
გამოსავალი სხვა ვერ მოვსძებნე:
და დღეს თავს ვიკლავ, ჩემო ბულბულო!
მუხთალმა ბედმა ისარი გვტყორცნა
და ქარიშხალმა ზღვაში ჩაგვძირა...
უკანასკნელი მიიღე კოცნა
და დაივიწყე შენი აწ ცირა!"
გადაიკითხა: თავი დაჰხარა,
გაშრა, გაშეშდა, ეცვალა ფერი,
ერთი საშინლად გადიხარხარა...
და დაავიწყდა სუველაფერი!

XII

მსურდა წერტილი დამესვა აქ მე,
მაგრამ მომესმა თქვენი მუდარა:
—მუშათა საქმე?—მუშათა საქმე?
და ხელმა ისევ წერას უჩქარა.
რომ იდეიას ციხე ვერ მოჰკლავს,
რომ ბორკილები მხოლოდ ხორცს ბორკავს,—
ეს ყველამ იცის ახლა, მგონია,
ვის დამბლა არ სჭირს და აგონია.
ჰოდა—იმ ნერგმაც, პეტრემ რომ დარგო,
ისე აყვავდა, ისე იხარა,
ისე გამტკიცდა, მშრომელთა სარგოთ,
რომ მის წინ მტერმაც ქედი იხარა!

ვ. რუხაძე.

რისთვის?

(წარსულიდან)

გიგო მოწყენილი და ჩაფიქრებელი იჯდა თავის ღარიბულად მორთულ ოთახში. საშინელი სანახავი იყო ამ საღამოს. მის სევდით დანაოჭებულ სახეს კიდევ მეტი ტანჯვა ემჩნეოდა: სულიერ სიმშვიდეს უკარგავდა ხვალინდელი დღე, რომელიც უსაზღვრო განსაცდელს უმზადებდა.

გიგო თამბაქოს ერთ-ერთი ქარხნის მუშა იყო. რევოლიუციონურ მუშაობაში პირველი ალაგი ეკავა, იყო კარგი ორგანიზატორი, ნიჭიერი ორატორი, მუშების სული და გული: მუშები მას ყველგან ირჩევდენ,: გიგოც თავგანწირვით იცავდა მათს ინტერესებს და ამიტომ გიგო უსაზღვრო ნდობით იყო აღჭურვილი.

თვითმპყრობელურ, სულის შემხუთავ წყობილებას გიგო მთელი თავისი არსებით ებრძოდა. მას ღრმად სწამდა მომავალის დიადი გამარჯვება და ამიტომ სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ყოველგვარ იერიშს, სამართლიანობის წინააღმდეგ მიმართულს.

სად არ ნახავდით გიგოს,—ვერის უბანი, ნაძალადევი, ავლაბარი, ხარფუხი, ნავთლუღი,—აი გიგოს სამოქმედო ასპარეზი, და ეს ხდებოდა ცხრა საათის მუშაობის შემდეგ, როდესაც მანქანების ბორბლები დილამდის შესწყვეტდენ გრიალს. გიგომ არ იცოდა დაღალვა, ჩუმად, ღამის წყვდიადში ის მიიპარებოდა იქ, სადაც მას უცდიდა დარაზმული მუშათა ლაშქარი მუშათა უბნებში, და ამ ლაშქარს ის ამზადებდა, რევოლიუციონურ სულს უდგამდა, აღფრთოვანებდა მომავალი ბრძოლებისთვის, მომავალ შეტაკებათათვის. გიგოს ვერასოდეს ვერ ნახავდით სასოწარკვეთილებაში, და ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ გიგო მუდამ მოუსვენრად მუშაობდა, მედგრად იდგა ბრძოლის ველზე და მის გარშემო თავს იყრიდენ მოწინავე ჯგუფები.

სათო—გიგოს ცოლი, რომელსაც ამ ერთი კვირის წინეთ ორი ბავშვი ერთად დაბადებოდა—ავად იყო. სათოს გამხდარი სახე, ჩაცვივნული თვალები და სინათლე, გამდგარი მოკიაფე ლოყები ამტკიცებდენ, რომ მას სტანჯავდა ისეთი სენი, რომელსაც ადგილად მიიღებს ადამიანი, რომელიც გამომწყვდეულია ნახევრად მში ერი ერთ პატარა და ნესტიან ოთახში.

გიგო ამ საღამოს განიცდიდა ზნეობრივ ტანჯვას: მან ვერ შესძლო ცოლ-შვილის მოვლა-პატრონობა; გიგო ბევრჯერ ყოფილა დატუსაღებული, სათო-კი კვირაობით და თვეობით ნახევრად მშიერ-მწყურვალი ციხის კარებთან ატუზული.

გიგოს იტაცებდა ბრძოლა ძველი ქვეყნის დასანგრევად, და ეს ბრძოლა მოითხოვდა პირად მსხვერპლს, პირად ბედნიერების უარყოფას.

გიგო ხშირად უმუშევრად იყო, რადგან ქარხნის მეპატრონენი ეჭვის თვალით უყურებდენ: მასში ხედავდენ დაუძინებელ მტერს, მტკიცე რევოლიუციონერს. მექარხნეს არ გამოეპარა გიგოს რევოლიუციონური მუშაობა, გიგო დააბეზღეს და აი ხვალ გიგო უნდა გამოცხადდეს ჟანდარმთა სამმართველოში. გიგომ იცის, რომ სამმართველოდან სახლში ვეღარ დაბრუნდება. მას მოელის ხელახალი დაპატიმრება, ხელახალი წამება.

თვალწინ წარმოუდგა ჟანდარმთა პოლკოვნიკი, დიდ, მწვანე მაუდ-გადაფარებულ მაგიდასთან მჯდომი, წითლად ჩასუქებული, დაბერილი ლოყებით და დასისხლიანებული თვალებით. მას ცხვირი აპრეხილი აქვს და თითქოს ეკითხება გიგოს:

— თქვენ იყავით თუ არა ამა და ამ კრებაზე, სადაც ირჩეოდა საკითხი ბ-ნ მექარხნე ბო-ის ტერორის დანიშვნის შესახებ?

გიგოს მზათა აქვს პასუხი, რომ ის უარყოფს ტერორს, რომ მას სურს და სწამს სხვა გვარი ბრძოლა, მაგრამ ეს „სხვა გვარი" ბრძოლა ხომ დანაშაულია; გიგოს ვინ მისცემს ამის უფლებას, ბრძოლა—ბრძოლაა როგორიც უნდა იყოს, ვინ აპატიებს გიგოს, უბრალო მუშას, ხმა აღიმაღლოს მჩაგვრელებას წინააღმდეგ?!

არა, გიგო ხელიდან ვეღარ დაუჭერება ამ გაქნილ არამზადას, გიგო იცნობს ჟანდარმულ ხრიკებს.

ამ ფიქრებში იყო წასული, როდესაც სათოს საშინელი კვნესა მოესმა და თან ახლად დაბადებულთა ტირილი.

— ვინ იქნება ამ პატარა ბავშვების პატრონი, სათო ხომ ლოგინიდან ვეღარ ადგება, და კოტეც რომ ადგეს... გიგოს მწარე ამოოხვრა აღმოსკდა გულიდან, მას საშინელი ფიქრები დაუტრიალდენ თავში.

— უნდა მოვასწრო, ამაღამ უნდა მოვასწრო.

ფიქრობდა გიგო, და თან ძველ ფალასებს ეძებდა საკუჭნაოში. ლამპის ოდნავ მბჟუტავ სინათლეზე გიგომ ორთავე პაწაწინა ფრთხილად გაახვია ბამბებში და ძველ ფალასებში; გულის ამღვრევი ყრუ სევდით, ჩუმად გააღო ოთახის კარები და გაექანა საბნელეში.

ელვისებრ ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა გიგო ქუჩიდან ქუჩაზე და თან ფიქრობდა:

— „მოვიტაცე! თვით ჩემს თავს მოვსტაცე ბედნიერება, რისთვის? ვინ მომცემს პასუხს?“

ამ მწარე ფიქრებით გიგომ მიაღწია ზუბალაშვილის სახელობის უპატრონო ბავშვთა თავშესაფარს, მის შესავალში დაუშვა პაწაწა ბავშები, თითონ-კა გიჟივით თვალებ-ამღვრეული გაჰქრა ღამის წყვდიადში.

ოლიმპიადა.

მუშკოოპის დრამატიული წრე

მთლიან მუშათა კოოპერატივის ცენტრალურ სამმართველოსთან არსებული ქართული დრამატიული დასი:

მარკოზოვი ვანო ივა., ხელმძღვანელი (*), ბაკრაძე მ. ი, თოთიბაძე პ, კავსაძე კ, პერეპელტიკოვი ი. (კულტ. კომ. თავმჯ.), უზნაძე კ., მზარეულიშვილი ი., მაისურაძე, დოლიძე, კარიბოვი პ., ქართველიშვილი მ., ყოჩიაშვილი ა. და თოთიბაძისა.

1921 წ. მეორე ნახევარში, ტფილისის აწინდელ მუშკოოპის თანამშრომელთაგან შესდგა დრამატიული წრე (ივ. მარკოზოვ-, ხელმძღვ. წევ. კარიბოვი, გეგელაშვილი, ყიფიანი და სხ.) წარმოდგენების გასამართავად. გამგეობის წევრნი: ამხ. ხიდირბეგოვი, ატოევი, აკიმოვი, მოვშენზონი სიამოვნებით შეხვდნენ დაწყებულ საქმეს. პირველი წარმოდგენა—„რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ დაიდგა საბუჰალტერიო ოთახში მდ. ვოლგის მხარის დამშეულთა სასარგებლოთ. თუმცა წრეს ტეხნიკური საშუალებანი აკლდა, ამავე შენობაში რამდენიმე წარმოდგენა დასდგა.

მუშათა კოოპერატივის დაარსების შემდეგ დრამ. წრეს მუშკოოპის ახალმა გამგეობამ (ამხ. ერისთავი, მელჩარსკი, ბოლქვაძე, ძაგანია, მელიქოვი) კულტურულ საქმის გასაგრძელებლათ დაუთმო შენობის შუა სართულში ორი დიდი ოთახი, სადაც საკუთარი ძალებით სცენა მოაწყეს. კვირაში ორი წარმოდგენა იმართებოდა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. არ იყო დავიწყებული საშეფო სოფელიც. როდესაც დრამწრემ მუდმივი ხასიათი მიიღო, საბჭოთა მუშაკების კავშირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და თეატრს „ოქტომბრის რევოლიუციის“ სახელი უწოდა. დრამწრიდან გამოყოფილ იქნა რუსული წრე, რომლის ხელმძღვანელად მიწვეულ იქნა მსახიობი ლევსკი, შემდეგ რატოვი.

დრამწრე წარმოდგენებს სდგამდა—პოლონურ კლუბში და ცენტრალურ საბჭოთა მუშა-ზოსამსახურეთა კლუბში.

დრამწრეს ცენტრალური პარტიული კლუბის მიერ დათმობილი აქვს კვირაში ერთი დღე (პარასკევი) წარმოდგენების გასამართავად.

დრამწრეს ხელმძღვანელობს ამხ. ივ. მარკოზოვი შემდეგი შემადგენლობით: ბაკრაძე, კარიბოვი, ქართველიშვილი, მზარეულიშვილი, კავსაძე, თოთიბაძე, უზნაძე, გვარამაძე, დოლიძე, თოთიბაძისა, ყოჩიაშვილი.

1921 წლიდან მუშკოოპთან თეატრის დაარსების ინიციატორი და ხელმძღვანელი დღევანდლამდე ვანო მარკოზოვია.

ვ. ჯამ.

ჩვენი კინო

ივლიტა ჯორჯაძე

„ქარიშხლის წინ“--წერილი იხ. შემდეგ ნომერში.

გილიოტინა

ღამე ცხრა აბის. 1856 წ.

აღმოსავლეთი ბაბილონმა გაანადგურა.
სძლია უდრეკი ბორკილებად, მძიმე ლოდინად.
ლიბანის მთები გადაიქცა სისხლის სადგურად
და დამონებულს გადუწყვიტეს: გილიოტინა!

შავი ეკრანი. მოჩვენება. წამების ბინა.
შველა არსაით, დიასპორა თავის უარით.
დღეს საუკუნემ მეცხრამეტედ გადაირბინა
და კვლავ გაისმის საზარელი ხმა რიტუალის.

ოჰ, ეს პასექი... მუდამ ისმის შიშის ნიშნები,
მიათრევს ზლაზნვით დახოცილებს ურემი ათასს,
ეს ბეილისი, ეს კიევი და კიშინევი
მუდამ მაგონებს ყოველწლობით ერემიადას.

და ეხლა, როცა ხელში ვფურცლავ წიგნებს გლოვისას
სადაც ვკითხულობ როგორ გავხდით საფქვავ როდინად,,
მომაგონდება დიდი სახე სისხლის მწოვისა
და სამართალი საშინელი: გილიოტინა!

კრულვა მარადი და კედლებში ძებნა გამჩენის.
ამაყ ისრაელს აღარ ძალუძს სევდა დაჰკეტოს.
დიდი ხანია წაუკითხეს მას განაჩენი
და სამუდამოდ მიაკრეს ის ხავსიან გეტტოს!

. . . . . .

სანთლები ჩაჰქრა. სმენად იქცენ თანამოძმენი,
წლების სათვალავს მოუთმენლად მაშინ ელიან.
აგარაკი და ნელი წვიმა გახდენ მოწმენი,
ითქვა ეს რიცხვი. აკანკალდენ: საშინელია!

ნილოსი, დნეპრი, ვისლა, რეინ და მანსანარე
ალბად ამ წუთში გადაიქცენ მძიმე ლოდინად,
დღეს მომავალი დაიკივლებს ეხოს საზარელს:
გილიოტინას შეაგებეთ გილიოტინა!

გერცელ ბააზოვი.

წალვერი. ღამე ცხრა აბის 1924.

* * *

თქვენ ვერ ჩასწვდებით ჩემს გულის სიღრმეს —
მღელვარებაა თვით შავი ზღვისა;
და ვერც მოხიბლავთ უმანკოებას, —
დისკოა გული ვით დილის მზისა,
და თუ გსურთ მტანჯოთ, ალხინოთ გული,
მოდით ჯალათნო, დამკარით ხმალი,
თორემ თქვენ კერპის სათაყვანებლად
არ შემწევს ძალი... არ შემწევს ძალი!..

დავით გურჯანელი-დათუკიშვილი.

ხელოვნება უცხოეთში

შვეციის თეატრი. ცნობილი უნგრელი მწერალი ივ. ფულიდი ამას წინად ჩამოვიდა რუსეთში სტოკჰოლმიდან. მისი მიზანია რუსული თეატრის შესწავლა. შვეციის თეატრის შესახებ ივ. ფულიდი ამბობს შემდეგს: დრამატიული თეატრი განიცდის კრიზისს. თეატრალური სახიერება საშინელი კონსერვატიზმით არის შეპყრობილი. რეპერტუარში სჭარბობს მსუმბუქი ფრანგული პიესები. სტოკჰოლმის თეატრი ჩამოქვეითებულია საზოგადოებრივი გემოვნების დონემდე. იგი არ ცდილობს თავისი აუდიტორიის აღზრდას, ახალი ესთეტიური სახეების ჩვენებას და სავსებით კმაყოფილია თავისი მდგომარეობით. ახალი თეატრის შექმნის ყოველგვარი ცდა მოკლებულია ნიადაგს. ახალგაზრდა ლიტერატორები და მხატვრები საშინელ ბრძოლას უცხადებენ თეატრებში გამეფებულ კონსერვატიულ აკადემიზმს.

გაცილებით მაღლა სდგას სტოკჰოლმის საოპერო თეატრი, რომელსაც ხელმძღვანელობს ენერგიული ერნეფილდტი. მხატვარმა გრუნევალდმა შეჰქმნა ახალი ექსპრესსიონისტული დეკორაციები. ოპერაში მონაწილეობენ ცნობილი მომღერლები, მაგ. რიხტერი.

რუსული ხელოვნება იტალიაში. დიდი ენტუზიაზმით იდგმება ოპერა: „ოქროს მამალი". დრამატიულ თეატრების წრეებში ყველაზედ პოპულიარულია ცნობილი რუსი მსახიობი ტატიანა პავლოვა. ამ ჟამად პავლოვა იტალიურ ტრუპასთან ერთად მოგზაურობს სამხრეთ ამერიკაში. ცნობილმა იტალიელმა ტრაღიკოსმა ერმეტე ცაკკონიმ თავის საბენეფისოდ დასდგა ტურგენიევის „Нахлебник". რომის კონსერვატორიის დირექტორად დანიშნულია კომპოზიტორი რესპიგი (Respighi) — მოწაფე ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის. ეს გარემოება რუსულ მუსიკას ფართე პერსპექტივებს უშლის. საკონცერტო პროგრამებში ხშირად ხვდებიან სახელბი: მუსოგორსკის, ჩაიკოვსკის, გლინკის. თქმა აღარ უნდა, რუსულმა ბალეტმა არა თუ რომსა და იტალიას — მთელ მსოფლიოს შეაყვარა თავი.

ხელოვნების მდგომარეობა ინგლისში. ინგლისის ხელოვნებას თანდათან უცხოელნი დაეპატრონენ. თუ რამდენად თვალსაჩინო შეიქმნა ეს მოვლენა, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი ამონაწერი „Fossische Zeitung"-იდან: „ლონდონიდან გერმანულ გაზეთებს აცნობებენ, რომ წლევანდელ საზამთრო სეზონში ლონდონი უმთავრესად უცხოეთის ხელოვნებით იკვებება. სამეფო ფილარმონიულ საზოგადოებაში კონცერტების შვიდ დირიჟორთაგან მხოლოდ ერთია ინგლისელი, დანარჩენი ექვსი ცნობილი გერმანელი მუსიკოსია: ვაინგარტნერი, ფურტკენგლერი და სხ.. ათზე მეტი გამოჩენილი გერმანელი მუსიკოსი და აგრეთვე რახმანინოვიც მუდამ მართავენ ლონდონში კონცერტებს და დიდი მოწონებაც აქვთ. ინგლისელ მუსიკოსთა მიერ გამართული კონცერტები კი მეორე და მესამე ხარისხოვნად ითვლებიან. მსუბუქი ხელოვნებაც აგრეთვე უმთავრესად „შემოტანილია". ასე: ამ ზამთარში ლონდონში გამოდიან: სამი რუსული საბალეტო საზოგადოება, ფრანგული კაბარეტები, უცხოელთა კინო და სხ... ეს მოვლენა შემჩნეულ იქნა ჯერ კიდევ 1923 წ. წლეულს კი სულ უფრო და უფრო საყოველთაო ხდება.

იუბილეები

ბოლო ხანებში იუბილეებმა მოარულის ხასიათი მიიღო. არც გასაკვირველია: უკანასკნელ მეოთხედ და მესამედ საუკუნის განმავლობაში ბევრი მუშაკი გამოჩნდა სახალხო, სახელოვნო, სამწერლო, სამასწავლებლო და საზოგადო ასპარეზზე და თვითეულ მის გულწრფელ მოღვაწეთაგანს სიტყვიერი მადლობა მაინც ეკუთვნის.

მაგრამ ამ „იუბილიართა" შორის ისეთებიც ერევიან, რომელთა **რაობა და ვინაობა** თითქმის არვინ იცის. „იუბილეებსაც" იმართავენ მაშინ, როდესაც მთელის ერისა და ხალხისაგან მივიწყებულნი არიან, — მაგ. ჩვენის მწერლობის ბუმბერაზი ნიკო ნიკოლაძე, სოფ. მგალობლიშვილი, ალ. მირიანაშვილი, ხომლელი, სილოვანი და სხ.

ამიტომაც იუბილეებს განეჩინა „ოდეს ტურფა გაიაფდეს"...

ერთი მუშა-მწერლის — ნიკო მკერვალის — არ იყოს, ამას რაიმე საზღვარი უნდა დაედვას.

ხოლო არიან ისეთი ნაამაგდარი მუშაკნი, რომელთაც საერთო ჯამში ვერ მოვაქცევთ.

ერთი ასეთთაგანია მუშა-სცენისმოყვარე გ. ჯაბაური, ხალხურ თეატრის ერთი დამაარსებელთაგანი, რომელმაც სხვა მუშებთან ერთად 1893 წ. ავჭალის აუდიტორიაში პირველი ლურსმანი დაჰკრა პირველ ხალხურ თეატრის სცენას და მას შემდეგ კარგა ხანს პირველ ხარისხოვან როლებს ასრულებდა, სწერდა სახ. თეატრის ისტორიას, სოფლებში კულტურულ მუშაობას აწარმოებდა ბ სხ. დიაღაც რომ ასეთ მუშაკს ეკუთვნის გულწრფელი მადლობა. ეს მშრომელმა ხალხმა უნდა გადაიხადოს.

ექიმი შტოკმანი.

საალმშენებლო მუშაობა

ტფილისის აღმასკომის **ყველა განყოფილების გამგეები** (აკლია ორი), **მეორე რიგზე შუაში თავმჯდომარე ლადო სუხიშვილი** (კეპკით)

უკანასკნელ 3-4 წ. განმავლობაში ჩვენი დედაქალაქის აღმშენებლობა წინ მიიწევს.

ფუძნდება მუშათა კლუბები, კლუბებში სცენები, მოემატა სატრამვაიო ხაზი, ფართოვდება ძველი და გადის ახალი ქუჩები, შეკეთდა აბანოები, შენდება ახალი დარაბები, ბაღები და სხვ. საერთოდ ქალაქი მშვენიერდება.

ვინ სდგას ქალაქის სათავეში?

მუშა, თვითგანვითარებული ლადო სუხიშვილი, სარაჯიშვილის ყოფ. ქარხნის კა-

ლადო სუხიშვილი ნათესავებში ს. მეჯვრისხევში (ქვევით წამოწოლილი, მარჯვნივ).

ჩეგარი, რომელმაც უკანასკნელი ორიოდე წლის განმავლობაში დიდი სამმართველო უნარი გამოიჩინა. მისი თანამოსამსახურენი არიან უმეტესად მშრომელთა შვილები ყოფ. მუშები და სხ.

რა თქმა უნდა, ჩვენს დედაქალაქს ჯერ კიდევ ბევრი აკლია, განსაკუთრებით განაპირა უბნები საჭიროებს ყურადღებას, ხოლო ზოგიერთი სამუნიციპალიზაციო სახლი შეკეთებას, მაგრამ რაც გაკეთდა და კეთდება, იმედს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მშრომელი ხალხის შვილები, თვით მუშები კიდევ უფრო დიდს უნარს გამოიჩენენ თავის საკეთილდღეოდ სააღმშენებლო საქმის კიდევ უფრო წინ წასაწევად.

ვუსურვებთ ჩვენს სააღმშენებლო დარგის მუშაკთ კიდევ უფრო მეტს მხნეობასა და გამარჯვებას.

სომეხი ჰუმორისტები

იაკობ პარონიანი და რაფიელ პატკანიანი

ჰუმორი საკმაოდ იშვიათი მოვლენაა სომხის, განსაკუთრებით ოსმალოს სომხის, ხალხში და სომხურს ლიტერატურაში. მე შეეხვდი მხოლოდ ორ მწერალს, რომელთ შეიძლება ჰუმორისტი უწოდოთ. ესენი იყვნენ იაკობ პარონიანი და რაფიელ პატკანიანი. პირველი დაბადა კონსტანტინეპოლს და გარდაიცვალა იქვე 1891 წ. პატკანიანი-კი იყო შვილი სომხური კოლონიის, ნახიჩევანისა, სადაც დაიბადა 1830 და გარდაიცვალა 1893 წ.

შეიძლება ითქვას, რომ ეს მწერლები იყვნენ შვილნი სრულიად სხვადასხვა კულტურისა, რადგან კონსტანტინეპოლის სომეხნი მაშინ უკვე იმყოფებოდნენ ფრანგულისა და იტალიური კულტურის გავლენის ქვეშ, როცა კავკასიისა და განსაკუთრებით ნახიჩევნის სომეხთ წარსულ საუკუნეში ჯერ კიდევ არ დაეკარგნათ პირველყოფილი სახე.

იაკობ პარონიანი

პარონიანი იცნობდა არა ნამდვილ სომხურ ცხოვრებას, არამედ კონსტანტინეპოლის სომეხთა კოლონიას, რომელიც იმ ხანებში მეტად დაჰშორდა თავის შთამომავალთ, სომხეთში მცხოვრებთ. გარდა მრავალ ღარიბ მეკურტნე მუშათა და შეჭირვებულად მცხოვრებ ხელოსანთა, კონსტანტინეპოლის სომხებში მრავლად მოიპოვებოდნენ მდიდრები, ბანკირები, ვაჭრები და სპეკულიანტები, რომლებიც თავიანთი სიმდიდრისა და გავლენის წყალობით განაგებდნენ საზოგადო საქმეებს სომეხთა კოლონიისა

ცხადია, ეს საზოგადო მოღვაწენი, არა ყველანი ასრულებდნენ მოვალეობას სინიდისიერადა და საზოგადოების სასარგებლოდ. ბევრი მათგანი იყო ანგაარი და პატივმოყვარე ანუ უნიჭო. პარონიანი, როგორც ჟეშმარიტი რეალისტი, თავის გმირებს ნამდვილს ცხოვრებაში ეძიებდა და ჰხატავდა ხალხისათვის ამ ცრუ ქველის მომქმედთ. დაცინვა მისი არ ინდობდა თვით უგავლენიანეს პირთა და თუმც თავისი სატირით მრავალ მტერს იჩენდა, მაინც მხნედ და გაბედულად განაგრძობდა წიგნების წერას. პირველი სათაურით: „ხალხი გმირები“ შეიცავს პორტრეტებსა და ბიოგრაფიებს 26 სხვადასხვა მოღვაწისას, რომელნიც თავის დროს თვალსაჩინო როლსა თამაშობდნენ კონსტანტინეპოლის სომხურს ცხოვრებაში. მეორე კრებული ესკიზებისა სათაურათ „მიდამოებში კონსტანტინეპოლისა“ აღწერს სომეხთა მოსახლეობას სხვადასხვა ნაწილებში ოსმალოთა დედაქალაქისა და აგრედვე სოლებსა და სხვა საზოგადო დაწესებულებათ. ბოლოს პარონიანმა თავისი კილეა მიჰმართა ჟურნალისტებსა, მეგაზეთეთა და მწერალთ საერთოდ. მათ შორის, რა თქმა უნდა, იყვნენ მწერალნი, რომელნიც არა რწმენითა და სუფთა სინიდისითა სწერდნენ, არამედ მხოლოდ ფულის გულისათვის: ეს მიმყიდველი მწერლები აჰხატა კრებულში: „მაღალ-პატივცემულნი მთხოვნელნი“.

როგორცა სჩანს, მთელი სამწერლო მოღვაწეობა პარონიანისა გამოიხატებოდა ბრძოლაში წინააღმდეგ ბოროტისა და განსაკუთრებით ხალხის ეშპლუატატორთა და უსაქმურთა.

სიხარულს ცოტასა ჰპოვებდა თავის ლიტერატურულ საქმიანობაში და უფრო ნაკლებ თავის კერძო ცხოვრებაში, რომელიც იყო მძიმე და სავსე ვარმითა. როგორც უმეტესობა მაშინდელ სომეხ მწერალთა, პარონიანიც თითქმის მუდამ განიცდიდა გაჭირვებას. მეტად მცირე იყო შემოსავალი ლიტერატურული მუშაობისაგან და იგი იძულებული შეიქნა რამე სხვა საქმისათვისაც მიეყო ხელი. რამოდენიმე წელიწადს იგი იყო მასწავლებლად, შემდგომ ნოქრად ერთ-ერთ მაღაზიაში და ბოლოს მოანგარიშედ, მძიმე ცხოვრებამ მალე მოჰშალა მისი სუსტი ჯანი, დაავადა და უდროოდ გამოასალმა წუთისოფელსა.

მაგრამ აჰ, სიკვდილმა ამ უბედური მოღვაწისა 1891 წელს, შეარყია გული თვით მის მოწინააღმდეგეთაც კი და კონსტანტინეპოლის სომხებმა მოაწყვეს დიდებული, იშვიათი დასაფლავება, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ აგრედვე ისინიც, რომელთათვისაც მისი დამცინავი კალამი ბასრი მახვილი იყო. რა თქმა უნდა, ეს ხალხის მავნეები უბედური მწერლის დასაფლავებაში მონაწილეობას იღებდნენ არა კეთილშობილური თანაგრძნობით, არამედ უფრორე სიხარულით, რომ სიკვდილმა წარიტაცა მტერი მათი.

პარონიანის ნაწარმოებთ თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ სომხის ხალხისათვის და ეხლაც გვიტაცებენ თავიანთი აღწერით ყოფა-ცხოვრებისა და მაშინდელი ტიპებისა, მით უმეტეს, რომ ეს ქვეყანა სრულიად გაჰქრა. როგორც ვიცით, ოსმალოს ყველა სომხებმა დაიგდეს ოსმალეთი და კონსტანტინეპოლში სომხური ცხოვრება ჩაჰკვდა.

მეორე ჰუმორისტი რაფიელ პატკანიანი, დაიბადა, როგორც ვსთქვი, სომხურ კოლონია ნახიჩევანში, რომელიც შეადგენს ნაწილს დონის როსტოვის მიდამოისას. ეს კოლონია უმთავრესად განვითარდა პირველი ნახევრის ბოლოსა და მეორე რახევარში 19 საუკუნისა. უმაღლესი სწავლა პატკანიანმა მიიღო ნაქილობრივ დერპტის უნივერსიტეტში, რომელშიაც მაშინ მეცადინეობა გერმანულს ენაზე სწარმოებდა, მაგრამ მოკლე ნაცნობობამ გერმანელებთან მოახდინა გავლენა მხოლოდ ზოგიერთ მის ლექსებზე, მაშინ, როდესაც მოთხრობებში კვალიც არ არის გერმანული გავლენისა. ამ მოკლე ცხოვრების სურათებში თავის სამშობლო ქალაქისა, იგი გრძნობითა და გონებით სომეხი იყო და მგონი არავის არა ჰბაძავდა.

როგორც ჰუმორისტი სავსებითა სცხოვრობს თავის სახლში, რომელსაც მიუხედავად თავისი რუსულ-გერმანული განათლებისა, არ განსდგომია.

რაფ. პატკანიანი

ძარღვი მწერლობასა პატკანიანს მემკვიდრეობად გაჰყვა მამისაგან, რომელიც, თუმც მოვდელი იყო, ეწეოდა ლიტერატურულს მუშაობას და 1850-დან 1852 წლამდე ტფილისში ცემ და პირველ სომხურ ჟურნალს „მასის“-ს (არარატი). მამის სკოლაში რაფიელ პატკანიანმა მიიღო პირველი, წმინდა სომხური განათლება, მერე სწავლობდა მოსკოვში, ლაზარევის ინსტიტუტში, შემდგომ დერპტში და ბოლოს ერთ-ერთ რუსულ უნივერსიტეტში. სამშობლო ნახიჩევანს დაბრუნებისას ხელი მიჰყო მასწავლებლობას სომხურს სკოლაში და აქ დარჩა სიკვდილამდე 1893 წ.

მაშასადამე, თითქმის მთელი თავისი ცხოვრება გაატარა პაწია სომხურ კოლონია ნახიჩევანში, აქ შეისწავლიდა თავის თანამემამულეთა ცხოვრებას, რომელმაც მაშინ იწყო ორ მოწინააღმდეგე ბანაკად განყოფა. მოხუცნი კიდევ უბრალო, ჟეშმარიტი სომხები იყვნენ, ჰსაუბრობდნენ და ჰფიქრობდნენ სომხურად, ჰცხოვრობდნენ ვიწრო წრეში და არცა სურდათ გაგება უცხო ცხოვრებისა. პატკანიანს, როგორც მასწავლებელს ადგილობრივი სომხური სკოლისა, საშუალება ჰქონდა გასცნობოდა ყველა მცხოვრებთ ამ პაწია კუთხისა, თვალი ეყოლებინა მათი ცხოვრებისათვის, ზნე-ჩვეულებისათვის და დაენახა ყველა ავი და კარგი. რა თქმა უნდა მან მალე შეჰნიშნა, რომ რუსული ცხოვრების გავლენით ძველი სომხური ზნე და ჩვეულება თანდათან ჰკრებოდა და მოზარდი თაობა მშობლებს აღარა ჰგვანდა. მაშინ მან ლექსებში და მოთხრობანში გაილაშქრა ამ ახალგაზრდობის წინააღმდეგ, რომელმაც შეიძულა მშობლიური ენა, ზნე-ჩვეულება და ლაპარაკობდა მხოლოდ რუსულს. პატკანიანი დასცინოდა ფრანტებს, მოძულეთ მშობლიური უბრალოებისა, პრანჯია ქალიშვილებს, რომლებიც მშობელთა წრიდგან გაჰრბოდნენ თეატრსა, კონცერტებზე და თავიანთ ძმებთან ერთად გასართობებს ეძებდნენ კლუბებში.

როგორც სუნდუკიანცი, შირვანზადე, რაფფი და სხვანი, პატკანიანი გამალებითა სცემდა ლახვარს თავისი სატირისა მაცდურთ, ძუნწ მეწერილმანეთა და ხალხის

მყელეფელთ. არა უარეს სუნდუკიანცისა აჰხატა მან სახეები ასეთ მაენეთა და საკმაო ნიჭითა და მოხერხებითა ჰხსნდა ყოველს კვანძსა და სიყალბეს, ცბიერებასა და უსინდისობას. მოთხრობანი „ჩემი მეზობელი“, „გაუდაბურებული ადგილი“ და სხვანი შეიცავენ არა მხოლოდ კარგ, ტიპიურ სურათებს სომხურ ცხოვრებიდგან, არამედ წარმოადგენენ აგრეთვე თავისებურ ტიპებსა. ამ მოთხრობანში გვხვდებიან აგრეთვე სიმპატიური ტიპებიცა, როგორც მაგალითად მოხუცი რიფსიმე „გაუდაბურებულ ადგილ“-ში, რომელიც უბრალო, მაგრამ მხატვრული სიტყვებით აღწერს ბედს დანგრეული ოჯახისას. სწორედ ამ მხატვრულობასა და ალეოიანობაში ხშირად გამოსჭვივის ჰუმორი პატკანიანისა. სინაზე და უხეშობა ერთგვარად ავსებენ სიცოცხლით მოთხრობასს ამ მწერლისა და ერთგვარად არიან მიმზიდველნი და საინტერესონი მკითხველისათვის. ხანდისხან ენა თითქოს უხეში ხდება როგორც მაგალითად მოთხრობა „ჯაყვა“-ში, მაგრამ ეს უხეშობა საუკეთესოდ გამოჰხატავს რაობას მოთხრობისას. ძველი ტიპის მასწავლებელი, რომელმაც იცის წერა-კითხვა და სხვა არაფერი, მეტად აფასებს თავის მცირე ცოდნასა. მუდამ იმის ცდაშია მოწაფეთ დაუმტკიცოს, რომ ეს დიდი ხელობაა და ადვილი არ არის გახდომა კარგ მწერლადა ანუ მკითხველად. მისი მოწაფენი უმეტესად ვერ იჩენენ წარმატებას და ამით კმაყოფილია, იგი რაკი ამტკიცებს, რომ წერა-კითხვა ეშმარიტად დიდი ხელობაა, რომელიც მხოლოდ მას ემარჯვება.,. მაგრამ აი მოჰყავთ მასთან მოწაფე, რომელიც რამოდენიმე დღეში შეისწავლის წერა-კითხვას და ეს ნიჭიერება მოწაფისა აცოფებს მასწავლებელს. სწუხს, ჰბრაზობს ყმაწვილზე, ეძახის უზრდელსა და ჯოხითა სტუქსავს კადნიერებისათვის. ასეთი საშიში მეტოქე ჯერ არასდროს გამოსჩენია და შეძრწუნებული ჭლანძღავს და სცემს ყმაწვილს, რათა გამოსდევნოს მისგან ყოველგვარი ნიჭი. მოწაფისდა საუბედურად, მასწავლებელმა ეზოში დაჰკარგა ჯაყვა და მაშინვე დასწამა ყმაწვილს ქურდობა. გაცოფებული პედაგოგი სცემს საკოდავ ბიჭს ჯოხითა და გაადგებს, მაგრამ რამოდენიმე დღის შემდგომ იპოვის ჯაყვას ეზოში.

კარგია აგრეთვე პორტრეტი ქაღალდის მოთამაშისა, რომელსაც პატკანიანი სრულის სისწორითა ჰხატავს და სავსებით აღწერს დაუდგრომლობას ამ ზადისას.

საერთოდ პატკანიანი იყო ნიჭიერი მწერალი, მაგრამ მისი ნიჭი უმთავრესად ჰუმორისტულ მოთხრობანში გამოსჭვივის, რომელნაც სულ თავისებურ განძს წარმოადგენენ სომხური ლიტერატურისთვის.

არტურ ლეისტი.

თამაშის კულტურა

(წერილი გერმანეთიდან საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ტურფას და მზიას

I

რუსის ხალხი დიდათ ეტანებოდა რელიგიას, მაგრამ უფრო გარეგნულად, ვიდრე არსებითად; ხატებით და დროშებით საზეიმო სვლა და დაუსრულებელი პარაკლესები ფარავდენ ქრისტეს ნამდვილ მაღალ მცნებას. ასევე დაფარული იყო ქრისტეს სიყვარული ბავშვებისადმი. აღარ მახსოვს, სამწუხაროდ, სიტყვები სახარებიდან: „მოვიდნენ ჩემთან ყრმანი“... ამ ყრმებზე ზრუნვა დავიწყებული იყო რუსეთში.

მთელი რუსეთის ლიტერატურა-კი გაჟღენთილია მოზარდ თაობისადმი უანგარო სიყვარულით, მათი სულის გამოცნობის წყურვილით, მათი საიდუმლო, სპეტაკი ორგანიზაციის გაგების წყურვილით. ტოლსტოი, დოსტოევსკი, ჩეხოვი და სხვანი ზრუნვით დასტრიალებენ ამ პაწიათა წრეს; ნაზად, ფეხ-აკრეფით მიდიოდენ მათთან, რომ ეს მიმოხსებური ნაზი ყვავილი არ დაეფრთხოთ და ისე ახლოდან უცქერდენ მისს მშვენებას—დაფარულ სიმდიდრეს.

მაგონდება გორკის სიტყვები („На дне“): „ბალღებს, ბალღებს არე, თავისუფლება სჭირიათ—ნუ უშლით ბავშებს ცხოვრებას!“.. მერე ვის ესმოდა ეს ჭეშმარიტება? სად იყო ბავში—არა ლიტერატურული—არამედ სინამდვილის ბავში, რომელიც სიყვარულით და თავისუფლებით იზრდებოდა? ვინ ზრუნავდა მის სულიერ საკითხებზე, მის სათუთ ბუნებაზე? მისი ყოველი ცნობისმოყვარეობა საშინელის სასასტიკით, ხშირად ფიზიკურის სიტლანქით უნდა ჩაეკლათ. ის, ვისაც ცხოვრების პრაქტიკული მხარე არ ესმოდა, ვინც ყველაფერს მარტო სარგებლობის თვალსაზრისით არ უდგებოდა, უვიცი და არამზადა იყო. და ბავში, რომელსაც ბუნება ყოველ დღიურობით ჯერ არ შელახვია, ვერ სწვდებოდა ამ „პრაქტიკას“... იყო „სულელი“ და სულელს მარტო ცემით და გაწყრომით „ასწავლიდენ“, უნერგავდენ სინამდვილის აზრს; სიზმრებს უმსხვრევდა სასტიკი სიცხადე სახლში, სკოლაში, მოგზაურობის თუ სეირნობის დროს, მას მარტო ამ ცივის სიფხიზლით უმასპინძლდებოდენ და ნელ-ნელა, დღითი-დღე არღვევდენ ამ ბუნებრივ სიმდიდრეს. ეს ზნე სავსებით გადმოინერგა ჩვენში რუსულ სკოლებთან და რუსულ სანამდვილესთან ერთად.

დღეს ძველი ვითარება ირღვევა, რუსეთის ძველი სუსხი და მისი „მუნჯური“ მეთოდის სკოლები გაქრა და თანდათან იბადება დიდი ხალისი ბავშვების წმინდა ეროვნულ ნიადაგზე ჯანსაღად აღზრდისათვის უდიდესი პრობლემაა და მის სწორ შეგნებაშია ქართველი დედის უწმინდესი მოვალეობა. მძიმეა აქ ქართველი დედის როლი და ტყვალად არ უთქვამს ილიას „მიეც ძალა სულს“!-ო. დიდი ძალა, კულტურული შეგნება სჭირია მას ამისთვის.

II

სამაგალითოდ უყვარს ქართველ ქალს თავისი ოჯახი, თავისი შვილები, მაგრამ მან როგორღაც ვერ მოახერხა, რომ აღზრდის საფუძველად ეს სიყვარული დაედო. რასაკვირველია, ბევრი რამ უშლიდა მას ხელს, მაგრამ ეს დაბრკოლებანი თანდათან ილახვიან დღეს და დროა სიყვარულს, ამ ყოველ შემომქმედებას სტიმულს, თავისი ძალა დავუბრუნოთ. არაფერი ისე ცივი არ არის ბავშვისათვის, როგორც რიტორიკა, ცხოვრებისათვის დახურდავებული ფილოსოფია... დაუსრულებელი დარიგება და „თეორეტიული წვრთნა“. ეს ჰკლავს მის „მე“-ობას, მის

შემოქმედების უნარს. ეს ურევს მას ზღაპრულ ქვეყნის გზებს და უბანდავს სადა და წმინდა მორალს. ეს კითხვა წმინდა პედაგოგიურ-პსიხოლოგიურია და, რასაკვირველია, სპეციალისტების საქმე. მაგრამ მე მინდა ჩემი დაკვირვებ დან ერთი ხაზი ამოვიღო: მინდა ჩვენებური აღზრდის მეთოდებიშეეადარო გერმანელ ბავშთა აღზრდას. უცნაურია ამ მეთოდების შედეგები: რუსეთში და საქართველოში ბავშვის ცხოვრება ამ „რიტორიკა“-ში მიდის, მას არიგებენ—ცხოვრების პრაქტიკულ მხარეებს უნერგავენ ხშირად საკმაოდ საგრძნობ „საშვალებებით“. ჩვენ ბავშს სათამაშოდ არ სცალიან; თუ იგი არ კითხულობს, ან არ სწერს, მას ნატაცია უკითხავენ, „კეთილსა და ბოროტს“ ანსხვავებინებენ. და ბოლოს... არც ერთ კულტურულ ქვეწყანაში არ იზრდებიან ცხოვრებისათვის ისეთი უსუსურნი, ყოველ პრაქტიკულ უნარიანობას მოკლებულნი—როგორც ჩვენში. თითქოს ის ბავშობა, სიყრმე, რომელიც ძალად აართვეს, მას სურს უკვე მოწიფულობის ჟამს დაიბრუნოს, ღრმად განიცადოს. ჩვენი კურს-დამთავრებული ქალები და ვაჟები ყოველგვარ საქმიანობის უნარს მოკლებულნი არიან. ისინი ჯერ კიდევ ოცნებით სცხოვრობენ. მართალია, მათ არ სტოვებს სულიერი სისპეტაკე, მაღალ. იდეალებით გატაცება, თავგანწირვის წყურვილი, ბრძოლის უნარი, მაგრამ აბა ახლოს დაუკვირდით მათ—რა უსუსურნი, ნაზნი და ჩვილნი არიან. თითქოს ვიღაც გარეშე უნდა მოვიდეს და ფეხი აადგმევინოს, გზაზე დააყენოს, საქმე ხელში მისცეს. აბა მიუშვით ისინი ცხოვრების უბრალო, პრაქტიკულ საქმეზე, ოჯახის მოწყობაზე. რა სასაცილონი არიან ისინი პირველ ხანებში ამ საქმის ახლოს: თითქოს აქაც თამაში იყოს, უბრალო საგნის ხელში სწორედ დაჭერა სჭირს: ნერვიულობენ, შიშობენ, მოკრძალებულნი არიან. აქ, გერმანიაში, სულ წინააღმდეგს ვხედავთ. ბავშს არა სჯიან და სიყრმეს ძალად არ აცლიან. მართალია კვირაობით მას პასტორი რიტორიკასაც სთავაზობს, მაგრამ ბავშს ორგანის ხმები და სიმღერები უფრო აინტერესებენ აქ, ვიდრე პასტორის პატეთიური სიტყვები. სხვა „ქადაგებებიდან“ იგი თავისუფალია. მისი ცხოვრება სიმღერით, ცეკვით, სწავლით და თამაშით დაუსრულებელის თამაშით მიმდინარეობს. უცნაურია აქაური სწავლა, მასწავლებლებიო მოპკრობა, სკოლის ამხანაგების განწყობილება. არსად არ ისმის სისასტიკის ხმა, დაცინვა, შეძაგება, ბავში სიხარულით მიდის სკოლაში, მას იგი უყვარს. მაგრამ ყველაფერში სასტიკი დისციპლინა მაინც მეფობს. ამაშია აქაური პედაგოგიკის საიდუმლოება. ეს დისციპლინა თავზე მოხვეული, გარედან მოტანილი, ცივი ტ **სხვისი** არაა. უხილავის ძალებით იპყრობს იგი ბავშის ბუნებას, მას იგი უყვარს, აფასებს, მისი აზრი, ესმის; აქ მისი საკუთარი ბუნება ლაპარაკობს, მისი აქტიობა ამაშიაც მეტყველებს. თითქოს სწავლა სხვათა შორის“ ხდებოდეს და მთავარიკი ის იყოს, რასაც ჩვენში „ტყვილა დროს დაკარგავს ვუწოდებთ და რისთვისაც ხშირად სასტიკად ვსჯით: ეს დაუღალავი თამაში და სპორტია. და შედეგი კონტრასტს გვაჩვენებს: აქაური კურს დამთავრებული ბზა-ობნეული არაა. მას არ სჭირია, რომ რომლიმე პატარა მოხელის სკამზე დასვათ და გარკვეული, დეტალური ინსტრუქციები მისცეთ ხელში. გერმანელ ახალგაზრდას მოხელეობას სძაგს, ჩვენში ეს იდეალია; ყოველ შემთხვევაში ასე იყო დღემდე. გერმანელი თვითმოქმედებისათვის სწირავს თავს, ირკვევს გზას, საკუთარ ფეხზე დადგომა სჭირია; შავი პრაქტიკა, მძიმე დასაწყისი მას ოდნავადაც არ აფიქრებს—წინაღმდეგ, იგი მთელის ბუნებით აქეთკენ მიიწევს. (ამოდენა ხალხი მოხელეების სულ მცირე აპარატით მოქმედობს.) თითქოს მან ბავშობა დაამთავრა და სრულის შეგნებით იწყებს საკუთარ ცხოვრებას. მოყვარული მშობლებიც ერობაშად იცვლებიან—მომწიფებულზე ზრუნვა მათ ცოდვათ მიაჩნიათ და დახმარება ამორალურ მოვლენად. მათ თითქოს სჯერათ, რომ შვილმა ყველაფერი მიიღო და მისი „როლის შესრულებას“ უნდათ მარტო შორიდან უცქირონ...

თამარ გოგოლაშვილი.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

საქართველო კინოში

კინოს დიად მნიშვნელობას მტკიცება აღარ უნდა.

ამ ხუთიოდე წლის განმავლობაში ჩვენში კინოს საქმე სწრაფად განვითარდა: სახკინმრეწველობის გარდა, ამ საქმეს ხელი მოჰკიდა სოც.-ეზრუნველყოფის კომისარიატმა და, როგორც შეეტყეთ, კერძო ამხანაგობანიც სდგება მის სამრეწველოდ.

მაგრამ კინოს მაოტო სამრეწველო ხასიათი არ უნდა მიეცეს, არამედ სამეცნიერო, იდეურიც.

ვინ არ იცის, რომ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ისტორიული ყოფა-ვითარება ჯერ კიდევ შესწავლილი არ არის, საქართველოს ერთი კუთხე მეორისთვის უცნობია, აგრედვე თანდისთან იმხობა და ნადგურდება ისტორიული ძეგლნი.

ყველა ამათი გადაღება ხომ ფასდაუდებელი განძი იქნებოდა ჩვენის მომავალის თაობისათვის.

ამგვამად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ჩვენის ქვეყნის მთაგორიანნი, განაპირა ადგილები, განსაკუთრებით რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი და სხ.

სვანეთი ჯერაც კიდევ საზღაპრო მხარედაა გადაქცეული არა მხოლოდ უცხოელთათვის, ჩვენთვისაც.

ჩვენმა კინო-მრეწველობამ ამ საქმეს ბეჯითი ყურადღება უნდა მიაქციოს: ყოველი კუთხე-მხარე ადგილობრივ გადაიღოს, სინამდვილიდან და არა ბუტაფორული მოწყობილობით.

დაყოვნება არ გამოდგება. ეს საქმე ხელსაყრელია ნივთიერად და კულტურულადაც.

ძველი ჭეშმარიტებაა--ვინც თავის თავს არ იცნობს, ვერც უცხოს გაიცნობსო.

ჩვენის ქვეყნის ყოველმხრივი შესწავლა-გაცნობა კიდევ უფრო შეგვაყვარებს მას, თვითარსებობის რწმენას განგვიმტკიცებს და საერთაშორისო ოჯახში ჩვენც ღირსეულ ადგილს მოგვაკუთნებს. *)

იოსებ არიმათიელი.

*) შემთხვევით ესარგებლობ და აქვე ვაცხადებ, რომ ამჟამად ტფილისში იმყოფება სვანეთის კარგი მცოდნე ეგნ. გაბლიანი, რომლის გამოყენება ამ საქმეში შესაძლოა და სასარგებლოც იქნებოდა.

ს ა თ ე ა ტ რ ო მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა

კორპორაცია „დურუჯი“ იანვრის 29-ს, სახელმწიფო აკადემიური დრამის დარბაზში გამოვიდა საზეიმო დეკლარაციით.

შარშან, ამავე დღეს, რუსთველის თეატრში, პირველად გაისმა კორპორანტების სიტყვა.

ეჭვს გარეშეა, „დურუჯის“ გამოსვლას ჰქონდა თავისი ობიექტიური მიზეზი და ჩვენი თეატრის სუნთქვაში ერთგვარი სიცოცხლეც შეჰქმნა.

აქ იყო პირველი შებრძოლება განახლებისათვის. აქ იყო პირველი ცეცხლის წაკიდება.

სულ სხვა საკითხია: ვის როგორ ესმის თეატრი. ეს პრობლემა ჩვენი აზროვნების დუღილში უნდა გამოიკვეთოს.

კორპორაცია „დურუჯის“ მნიშვნელობა სწორედ აქაა. მან შექმნა ქართული თეატრალური კრიტიკის მეტყველება. მან გამოიწვია გაყინული წერტილების ცოცხალი დინამიკა.

მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. „დურუჯის“ სიტყვები ნაკვერჩხლებივით ჩაეშვა ჩვენი საზოგადოების გულში. მან დასწვა გაჩერებული ინერციის წინააღმდეგობა. შეიქმნა ახალი ინტერესი... გაჩნდა ახალი წყურვილი და ქართული თეატრის დიფერენციაციას გაეხსნა გზები.

თეატრის პროგრესისათვის ეს ყველაზედ მართალი მდგომარეობაა.

მაგრამ არ შეიძლება გადამალვა იმ ფაქტის, რომ კორპორანტების გამოსვლას თან ახლდა თავაღებული კადნიერება და გადაჭარბებული ბუფონადა.

ჩვენი საზოგადოება ასეთ „გამოსვლას“ გულამღვრეული შეხვდა. ცხადია, აქ იყო სამართლიანი მოქცევის შესამჩნევი ნაკადი. კრიტიკულ აზროვნებას მუდამ ეშინია ასეთი ჭდგომარეობა არ დამთავრდეს იდეური გაბითურებით. რამდენი შემთხვევაა, როდესაც შემოქმედება „გია ნებათ“ გადაქცეულა. ქართულ სინამდვილეში ეს არ არის „ახალი ამბავი“.

ჩვენ დღესაც გვეშინიან ამის.

იანვრის 29-ს კორპორანტებმა იგივე ტონი მოიმარჯვეს, რომელმაც შარშან გამოიწვია ჩვენი საზოგადოების ცუდი განწყობილება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „გინებას“ ნაკლები ყურადღება უნდა ექცეოდეს. ძველი თეატრის „დამარცხება“ ყველაზე უკეთ ახალი თეატრის შექმნით შეიძლება.

ამისათვის კი საჭიროა და საკმარისია საქმე და ფაქტი.

გ. ნ.

ქართული დრამის ამბ. საოპერო თეატრში დასდგა „ოტელო“. მიუხედავად თანააღმსრულებელთა სისუსტისა, ალ. იმედაშვილმა შეუდარებლად განასახიერა ოტელოს როლი: მასში ჰფეთქდა ნამდვილი ზანგი: გულუბრყვილო და მძაფრი, შეყვარებული და სასტიკი, ორ ენების შორის წამებული ადამიანი. ნიჭიერმა არტისტმა მ. გელოვანმა ვერ დასძლია იაგო,—ეს მართლა და ჯოჯოხეთის ხატები, ოტელოზე ურთულესი როლი. თითქოს ვერკაი შეეგნო. დეზდემონას აღმსრულებელსაც—ალ. ქიქოძეს აკლდა სინაზე, კდემამოსილება. მარგ. ქილარჯიშვილმა სრული სახიერება შეჰქმნა იაგოს მეუღლის შესრულებით. წარმოდგენა საერთოდ ვერ იყო სრულქმნილი.

სამაგიეროდ თებერ. 4-ის წარმოდგენა (დ. კლდიაშვილის „უბედურება“ და ტ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“) ერთ საუცხოოთათვნად უნდა ჩაითვალოს მთელ სეზონში. იშვიათია ასე გაერთსულოვანებული ავტორი, მსახიობი და მაყურებელი. პიესები—მშობლიური ჩვენი მშრომელი გლეხკაცობის გონებრივ-ზნეობრივ მსოფლმხედველობისა და საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრების ამსახველი, დადგმა—მხატვრული, შესრულება—მაღალ ნიჭიერად შეხმატკბილებული. თითოეული მსახიობის ყოველი სიტყვა, ყოველი მიმოხვრა, გამოხედვა იყო სწორუპოვარი.

მაღალი მხატვრულია ვ. არაბიძე (ამირანა), მ. გელოვანი (პავლია), სინამდვილის სახიერება ზ. გომელაური მ. ქილარჯიშვილი და სხ. საერთოდ სალიანგო სცენა ცოცხალია, სრულქმნილი („უბედურება“). ატაკუტას განსახიერებით მ. გელოვანმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა თვისი მაღალი არტისტიული ნიჭი: არაჩვეულებრივის ხელოვნებით წარმოგვიდგინა ყოველი ნაბიჯი, სუნთქვაც-კი ნაკასრი როლისა. ელ. ჩერქეზიშვილი—(მამიდა) სინამდვილის გამოკვეთილი ქანდაკაა, ასევე—ქეთო ანდრონიკაშვილი (სიდედრი). ნინო ჩხეიძე—ქართველი თანამ. მეოჯახე ინტელიგენტი ქალის ასლია, თავიდან ბოლომდე დასრულებულიყოველგვარი განცდით. გ. ფრონისპირელს კარგად შეუგნია ქართველი მეოჯახე ინტელიგენტი, სტუმართაგან თავმობეზრებული, მაგრამ მაინც თავაზიანი. ალ. იმედაშვილი (ვახრაკიძე, ან. ქიქოძე (მსახური), ზ. გომელაური (ბეჟიკო), ლ. ადამიძე („სოციალისტი“) ვ. მატარაძე, რონელი ცოცხალ სახეებს იძლევიან. ტიპიურია ა. დგებუაძე (ივანე მუსრიკიძე), საერთოდ ანსამბლი მთლიანია, პიესამ გაიმარჯვა და ვინც იგი ვერ ნახა ამ ძალთა შესრულებით—ესთეტიურ ტკბობას მოაკლდა. საზოგადოებამ მსახიობნი და ავტორიც (თუმცა სცენაზე არ გამოვიდა) მხურვალე ტაშით დაჯილდოვა. ჩვენის აზრით პიესა („სტუმ.-მასპ.“) ატაკუტას გასვლით უნდა თავდებოდეს დაე, ვახრაკიძეც გაჰყვეს მოკლე გამომშვიდობებით,—საპირო არაა მისი ქადაგობა.

უჩინო

წითელ თეატრში ახალი ხანა იწყება.

თებერ. 5 გენერალური რეპეტიციით დაიწყო (საგანგებოდ მოწვეულ პირთათვის), ხოლო 6, 7 და 8 წარმოდგენილი იქნა ჭ. გელეიშვილის მიერ (ეგ. ნინოშვილის „სამწუხარო შედეგი“-დან) გადმოკეთებული პიესა „ჯანყი გურიაში“, 4 მოქ.

პიესაში გამოყვანილია გურულთ აჯანყება რუსის მეფის ჯარების წინააღმდეგ, ბატონყმობის საწინააღმდეგო მოძრაობა, სოციალისტური იდეების ჩანასახი, შინაური გამცემლობა და სხ.

ალ. წუწუნავამ ამ პიესის დადგმით სახალხო სახლის კედლები კვლავ ჩვეულებრივი სახელოვნო ცეცხლით გაათბო.

პროლეტკულტის სტუდიელნი ბუნებრივად ამეტყველდენ და თავისი უნარი გვიჩვენეს. შაფათავა უკვე ნიჭიერ არტისტის ნიშანს იძლევა,—მის მიერ განსახიერებული პეტრია სასცენო შედეგრია. შეგნებით და სრულის ზომიერებით ასახიერებენ აზნაურ ივანეს ხინთიბიძე, კოზიას—გვინჩიძე. აღსანიშნავი არიან აგრედვე თვისი და-

კვირვებული და მოხდენილი აღსრულებით გაგუა (სიმონი), მახათაშვილი (ლევანი), კიკნაძის ასული (მანო), მელიავა (ბესია), ლოლუა (გიორგი), კოსტავა (შალიკაშვილი), თავბერიძე (ბეგი), გვარიანია მელიქოვისაც (გულო). დამსახურებულ სცენისმოყვარეთაგან—ელ. ბარათაშვილმა კნეინის ცოცხალი სახე შეჰქმნა.

პიესა დადგმულია წუწუნავასებურად ახალი გიგმით. ზოგიერთი მოქმედება (მაგ. II) ხალზია გადატანილი: მომქმედნი პირნი (აჯანყებული გურულები) პარტერიდან შემოიჭრებიან სცენაზე. საორკესტრო სამოქმედო ასპარეზად არის გადაკეთებული და სხ სალიანგო სცენები თვალის-მომჭრელია. აქა სჩანს რეჟისორის გამოცდილი, დაკვირვებული და მცოდნე ხელი. მოძრაობა, სიცოცხლე, სიხალისე გზიბლავთ. ახალგაზრდა სტუდიელთა შორის ბევრი ნიჭიერი ძალა სჩანს,—მოდის ახალი დასი ახალი ძალღონით.

წითელი თეატრი (იგივე სახალხო სახლი) ამიერიდან ახალგეზს ილებს: თუ სიკედილი არ უნდა, ამ გზით უნდა იაროს: ნაგუბარში სდგება წყალი,—რადგან ეს არის სუ-რვილი და მისწრაფება მშრომელი ხალხისა. **უსავნო**

სოფ. ხაშმზე თითქმის ყოველ კვირა იმართება წარმოდგენა, ხშირად—უფასოდ. მშვენიერი წინა ფარდა მიუტანა შეფმა ქ. ტფილისის წყალსადენის მუშათა ჯგუფმა. დანარჩენი ძველი დეკორაციებია. ქანდარას სპირია შეკეთება, სუროთების დახატვა და, საერთოდ, სათეატრო დარბაზს შელამაზება. იმედია, ადგილობრივი დრამწრე და, ვისიც ჯერ არს, ყურადღებას მიაქცევს.*)

სოფ. უჯარგვაში ყოფ. მღვდლების ნამოფ ბინაზე ღარიბმა სოფელმა მოაწყო სათეატრო სცენა, საქმე ნელ-ნელა მიცოცავს წინ. საჭიროა დახმარება.

ს. მუხროვანი პატარა სოფელია, ვიდრე წითელი ბატარეია იდგა, კაზარმაში მართავდა წარმოდგენებს, რომელსაც მუხროვანის ღარიბი გლეხობაც ესწრებოდა. ახლა აქ მოაწყვეს ძვირფას ჯიშის ცხენებ-ს „ქარხანა,“ თეატრის საქმე ჯერჯერობით დავიწყებას მიეცა.

ს. პაპარაძეულის სცენისმოყვარენი, როგორც იქნა, საბძლებს დაეხწივნენ, მაგრამ შესაფერი შენობა მაინც არა აქვთ: არც სკამები, არც სცენა, შენობის გადაკეთება შეიძლება, ადგილობრივი ძალები რომ არ მოისუსტ.

ს. სართიჭალა-ანაზენეულდში კომკავშირის სახელოსნოზე ადგილობრივ მოსამსახურეთა, მასწავლებელთა და მოწრნავე პირთა მიერ საუკეთესოდ მოეწყო თეატრი. ქართულ წარმოდგენებში ნემენცებიც მონაწილეობენ. შენობა შეღებილია, დახატული. მუშკოოპის სახელით შეფმა საუკეთესო ფარდა მოუტანა. დაიდგა ელექტრონის მოტორიკ, თუმცა მანტიორის უყოლობის გამო ხშირად იშლება. წარმოდგენა ხშირად იმართება.

ს. მარტყოფში სხვა კულტურულ საქმიანობასთან ერთად თეატრიც უკეთესად მოეწყო. სათეატრო დარბაზად გადაკეთებულია ყოფ. მღვდელთა საცხოვრებელი ბინა. სოფლის კვალობაზე თეატრი მშვენიერადაა მოწყობილი და შესაფერი წარმოდგენებიც იმართება.**)

ს. ნოტრიო ჯერაც კიდევ ვერ დაეხწია ძველ ჭირს, საღათის ძილს: აქ ჯერ ახალშენშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა, თუმცა დაუდგენიათ კი თეატრის აშენება.

ტუნა.

*) როგორც შევიტყვეთ, ტფ. აღმ.სკომს თეატრისთვის განსაკუთრებული ბამბე დაუქირავებია და 150 მან. დ.ხმარება მიუცია

**) ტფ. აღმ.-სკომისაგან მიეცა 150 მან. დახმარება.

ახალციხის ლენინის მუშათა სახელობის კლუბში თებერ. 1-ს წარმოდგ. იქნა „ხანუმა.“

კარგად შეასრულეს ხანუმას როლი ქალ. ერემაშვილისამ, ფანტიაშვილის—ნიკოლაიშვილმა, კოტე—წერეთელმა, ქაბატუას—ბაიბურთელმა, აკოფას—ვ. ელიზბარაშვილმა, მიკიჩას—სოსო თარხნიშვილმა, ტიმოთეს—ი. ხუციშვილმა, სონიას—მზიამ, სარას—გოგორიშვილმა.

დრამდასი დაუღალავად მუშაობს.

წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო მიუხედავად დიდი თოვლისა და ყინვების. **პავლე გურგენიძე.**

ბიათურის თეატრს წელს გამოცოცხლება დაეტყო და დასის შემადგენლობაც საკმაოდ ძლიერი შეიქმნა. მოწვეულნი არიან ნიჭიერი მსახიობები, მათ შორის პ. ფრანგიშვილი, ა. ლოლუა. ნ. მაჭავარიანი და სხვა. სეზონი გაიხსნა „რევოლიუციის რიჟრაჟი“-თ. წარმოდგენები იმართება ყოველ შაბთ-კვირას, რეპერტუარიც საინტერესო და შესაფერისია.

აღსანიშნავია ადგილობრივ სცენისმოყვარეთა პროგრესი ამ სფეროში. წარმოდგენებს ხალხი ბლომად ესწრება. დასს რეჟისორობდა მიხ. ქორელი, რომელმაც მშვენიერად დადგა რამდენიმე პიესა; მისი ტფილისში გადასვლის შემდეგ ხელმძღვანელ-რეჟისორებთ ითვლებიან გამრეკელი-თორელი ნინო და სოსო მებურიშვილი, რომელიც საკმაო ენერგიის და მომზადებული პიროვნება აღმოჩნდა. თეატრს განაგებს გ. ნუცუბიძე. **ნ. წე—ლი.**

ვალისციხის თეატრის სეზონი გაიხსნა ქრისტეშობის თვეში. მუდმივი სცენის მოყვარენი ქ-ნი: თამარ ფერაძე. ვერა ქადაგიშვილი, კატუშა ყორუაშვილი, მარუსა მესხი, ვ-ნი: ვ. ტერმოსესოვი, გიორგი და გიო ბეჟანოვები, ვ. შალაშვილი, მ. ბერიშვილი, ნ. მელექსიშვილი, ვ. ყორუაშვილი, გ. გორგიშვილი, ლეო ჭავჭანიძე, ალ. თათარაშვილი, სარ. მაილოვი, ნ. მღებრიშვილი, ბ. დათუაშვილი, ს. ზაქარიაშვილი, ვ. ჩიჩუა.

დეკემ. 28 გაიმართა საბენეფისო საღამო დამსახურებულ სცენის მოყვარის ვასო ტერმოსესოვისა (წარმოად. „არშინ-მალალან“).

საღამომ კარგად ჩაიარა, დარბაზი თითქმის სავსე იყო. საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. დასი განაგრძობს გულმოდგინედ მუშაობას. **ნიმღელი.**

რედაქციისაგან. „თ. და ც.“ № I X-ის წერილის „საჭირო განმარტება“-ს ბოლო ოთხი პწკარი სხოლიოში უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი, როგორც რედაქციის შენიშვნა. ტეხნიკური მიზეზით წერილზეა მიყოლებული.

ხელმძღვანელი **კოლეგია**

რედაქტორ-გამომცემელი: **იოსეგ ივეთაშვილი**

საჰ. ოპერის თეატრი

შაბათს, თებერვლის 28-ს ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება“

თავისი საამაყო თანამშრომელის აკაკის გარდაცვალებიდან 10 წ. შესრულების აღსანიშნავად გამართავს

აკაკის საღამოს

შინაარსი: I სიტყვა; II წარმოდგენა „ბუტიაობა“, III პოეზია—აკაკის ნაწარმოებთა სიმღერა-დეკლამაცია, IV მუსიკა: ა) „თამარ ცბიერი“, მ. ბალანჩივაძის ოპერიდან; ბ) „პატარა კახი“, ნ. სულხანიშვილის ოპერიდან; V აპოთეოზი

დაწვრილებით აფიშებში

ფოტოგრაფ

პ. ნიკოლენკოს

სინათლით წერის სახელოსნო

ტფილისი, პლეხანოვის პრ., № 107

ასრულებს ყოველგვარ

სამხატვრო-საფოტოგრაფიო სამუშაოს, პორტრეტებს, ჯგუფებს, ფოტოესკიზებს და სხ.

ადიდებს სურათებს.

ღიაა ყოველდღე დილის 10 ს. საღ. 5 ს.

ექიმი ა. დ. ალექსიძე

(რტიშჩევის ქ. № 10)

მეანობა და ქალთა ავადმყოფობა

იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4—7 ს., სამშაბათს გარდა.

10—2

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

არჩილ კორინთელის

პიესათა კრებული:

1. კაცი-ჭამიას დაკრძალვა, ბატონყმობის ისტორიიდან 4 მოქ. 2. ეშმაკის ჯოხი, 5 მოქ. 3. ხატობა—4 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან. 4. მუშის ქალა, რევოლიუციონური 4 მოქ. 5. დალუპული სიყვარული, 3 მოქ. და 5 სურ; 6. რევოლიუციის მსხვერპლი—4 მოქ. 7. ვაჟი ქალის კაბაში—კომ. 1 მოქ. 8. ცხენაობა—საბავშო 2 მოქ.

მსურველთ შეუძლიანთ წინდაწინვე დაიკვეთონ „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციაში. ვინც წინდაწინ დაიკვეთს და ფულს შემოიტანს—ერთ მანეთად დაეთმობა.

„რეზინოტრესტი“

გამგეობა მოსკოვში, მოროსსეიკა, 12.

ტფილისის განყოფილება

საბითუმო და წვრილი ვაჭრობა (სოლ. ქ., 4)

მოსკოვის ფასებში ჰყიდის

ყოველგვარ რეზინეულ ნაწარმოებს, როგორც მაგ.:

კალოშებს, ავტო-საბარგო-მოტო-ველო-ეტლის შინებს, ღვედებს, სახელოებს და ტეხნიკურ ნაწარმოებს, ქანსელის (აზბესტი) ნაწარმოებს, სადოსტაქრო ნაკეთობას, სამგზავრო, საოჯახო და სასპორტო საგნებს, რეზინებს—სარეცხად, სათამაშოებს, ბურთებს, ბერვილებს და სხვ.

კოოპერატივებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს საქონელი დაეთმობით შეღავათიან პირობებში

1—1

რესტორანი

„მცხეთა“

(ვერის დაღმართის ქიმში, ყოფ. ზემელის აფთიაქის ქვეშ)

ევროპიული და აზიური საჭმელები

ახალ-ახალი სანოვაგით

სადილი	ვახშამი
1—6 საათამდე	ღამის 3 ს-მდე.

ყოველთვის მოიპოვება

მცხეთის პიროშკი

ღვინო ფართო არჩევანი თვეში ?

ტკბილეული დასხვით.

პატივისცემით სერგო კახეთელიძე



მექანიკური

სახელოსნო

დ. ო. ბენდუქიძე

ანდრეევის ქ., № 65.

ტელეფონი № 5—82.

ა. ალექსიძის

საცეკვაო სტუდია

ვასწავლი ყოველგვარ

კავკასიურ ეროვნულ და ევროპიულ ცეკვებს

ხელსაყრელ ფასებში

ბავშვებს 12 წ. ვღებულობ განსაკუთრებულ ჯგუფებში.

პირობებზე მოლაპარაკება ყოველდღე 5—8 საათ., გარდა კვირისა.

კალინინის ქ. (ნიკოლოზის ქ.), № 47.

ფოტოგრაფი

ვ. ჩლაიძე

პლეხანოვის პრ., № 147

იღებს ყოველგვარ ფოტოგრაფიულ სურათებს

ადიდებს პორტრეტებს, ტუშითა და ფერად საღებავებითაც

შეკვეთა სრულდება მხატვრულად

ფოტოგრაფიის უკანასკნელი ტეხნიკის თანახმად

სუფთად და თავის დროზე

(5—1)

ფოტოგრაფია ევ. ქვანიასი

(რუსთველის პრ. № 8, „ზარია ვოსტოკა"-ს რედაქციის გვერდით, ეზოში, მუშათა სახლის პირდაპირ)

ასრულებს ყოველგვარ

საფოტოგრაფიო სამუშაოს

სუფთად,

ხელოვნურად,

სწრაფად.

(8—6)